

საქართველოს გრ.მუხადის ქირურგთა ასოციაცია
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნე

№8

რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

თბილისი, 2020

გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნე

რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოიცემა 2016 წლიდან წელიწადში ორჯერ

ჟურნალი რეფერირებულია „ქართულ რეფერატულ ჟურნალში“

www.techinformi.ge (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინსტიტუტი ტექნიკურმა)

მთავარი რედაქტორი: დავით ჯიქია, თსსუ

სარედაქციო კოლეგია: გ.არაბიძე
ვ.არჩვაძე, თსსუ
ლ.სილოგავა
ნ.ფრუიძე

სარედაქციო საბჭო:

დ.აბულაძე	ნ.ლომიძე, თსსუ
მ.აბაშიანი (ჩეხეთი)	კ.მარდალაშვილი, თსსუ
გ.ახალაძე (რუსეთი)	ბ.მოსიძე, თსსუ
ზ.ბახუტაშვილი	გ.ნემსაძე
რ.გრუსინერი (აშშ)	ზ.ორჯონიძე, თსსუ
გ.დათუაშვილი, თსსუ	ა.რეკორდარე (იტალია)
ზ.ვადაჭკორია, თსსუ	მ.ტატიშვილი
მ.ზიმლიცკი, თსსუ	კ.ქუნთელია, თსსუ
გ.თომაძე, თსსუ (თავმჯდომარე)	კ.ყიფიანი, თსსუ
ბ.იაშვილი	ბ.ჩაკვაძე
მ.კილაძე, თსსუ	თ.ჩხვიჭავაძე
დ.კორძია, თსსუ	რ.ხეცურიანი, თსსუ
ი.კობახიძე, თსსუ	შ.ჯაფარიძე, თსსუ
ი.კუზანოვი, თსსუ	

დამფუძნებლები:

საქართველოს გრ.მუხაძის ქირურგთა ასოციაცია,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გამომცემელი:

საქართველოს გრ.მუხაძის ქირურგთა ასოციაცია

სპონსორი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ჟურნალში შუქდება თანამედროვე ქირურგიის და მომიჯნავე დარგების სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევების შედეგები, მათი კლინიკური და თეორიული ასპექტები, ახალი ტექნოლოგიები, სამედიცინო განათლების პრობლემები, შემთხვევები კლინიკური პრაქტიკიდან, ქირურგიის ისტორიის გამორჩეული მოვლენები, გრ.მუხაძის საქართველოს ქირურგთა ასოციაციის საქმიანობის ქრონიკა და სხვა აქტუალური თემები.

რედაქციის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებას. ყველა უფლება ავტორებისგან მასალების მიღების შემდეგ ეკუთვნის ჟურნალ „გ.ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ რედაქციას. რედაქცია პასუხს არ აგებს სარეკლამო მასალების შინაარსზე. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება ან გამრავლება, მეთოდის მიუხედავად, დასაშვებია მხოლოდ გამომცემლის წერილობითი ნებართვით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 0179, ჭავჭავაძის 33ბ, „პრემიუმ მედსერვისი“
www.surgery.edu.ge | geosurgery@gmail.com

პრეპრესი და ბეჭდვა: შპს „სმარტ პრინტი“. თბილისი, 0180, ზ.ჯორჯაძის 43
kobakurtanidze@gmail.com

ტირაჟი: 500

UDC (უაკ)617(051)(479.22)ს-323

ISSN 2449-2221

© საქართველოს გრ.მუხაძის ქირურგთა ასოციაცია

Gr.Mukhadze Georgian Association of Surgeons
Academy of Medical Sciences of Georgia
Tbilisi State Medical University

GURAM TATISHVILI BULLETIN OF GEORGIA SURGERY

№8

Peer-reviewed Scientific-Practical Journal

Tbilisi, 2020

GURAM TATISHVILI BULLETIN OF GEORGIA SURGERY

Peer-reviewed Scientific-Practical Journal

Published since 2016, twice a year

The journal is reviewed in Georgian Abstracts Journal

ww.techinformi.ge (Institute Techinformi of the Georgian Technical University)

Editor-in-chief: | Jikia D., TSMU

Editorial team: | Arabidze G.
Archvadze V., TSMU
Pruidze N.
Silogava L.

Editorial board:

Abuladze D.	Kordzaia D., TSU
Adamec M. (Czech)	Kuntelia K., TSMU
Akhaladze G. (Russia)	Kuzanov I., TSMU
Bakhutashvili Z.	Lomidze N., TSMU
Chakvetadze B.	Mardaleishvili K., TSMU
Chkhikvadze T.	Mosidze B., TSMU
Datuashvili G., TSMU	Nemsadze G.
Gruessner R. (USA)	Orjonikidze Z., TSMU
Iashvili B.	Recordare A. (Italy)
Japaridze S., TSMU	Tatishvili M.
Khetsuriani R., TSMU	Tomadze G., TSMU (Chairman)
Kiladze M., TSU	Vadachkoria Z., TSMU
Kipiani K., TSMU	Zimlitski M., TSMU
Kokhraidze I., TSMU	

Founders: | Gr.Mukhadze Georgian Association of Surgeons,
Academy of Medical Sciences of Georgia
Tbilisi State Medical University

Publisher: | Gr.Mukhadze Georgian Association of Surgeons

Sponsor: | Tbilisi State Medical University

The results of scientific-practical researches of the modern surgery and adjacent fields, their clinical and theoretical aspects, new technologies, problems of medical education, cases from clinical practice, exceptional events of the history of surgery, chronic of the activities of Gr. Mukhadze Scientific Society of Surgeons and other actual topics, are highlighted in the journal.

The opinion of the editorial team may not coincide with the authors' consideration. All the rights from the authors after getting the materials belong to the editorial team of the journal "G. Tatishvili Bulletin of Georgia Surgery". The editorial team is not responsible for the contents of the advertising materials. Full or partial reproduction or copying of the materials published in the journal, despite of the method, is allowed only through the publisher's written permission.

Editorial office address: 33b Chavchavadze Ave., Premium Med Service, Tbilisi, 0179, Georgia
www.surgery.edu.ge | geosurgery@gmail.com

Prepress and Printing: Smart Prnt LLC. 43 Z. Jorjadze st., Tbilisi, 0180, Georgia
kobakurtanidze@gmail.com

Copies: 500

UDC (უკვ)617(051)(479.22)ს-323

ISSN 2449-2221

© Gr.Mukhadze Georgian Association of Surgeons

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა	6
ზოგადი შიშველების კათედრა — 100 წელი <i>ილია ჭანუყვაძე</i>	7
მუცლის ტიპიური სალიაგნოსტიკო გამოწვევები გალაუფებულ შიშველებში (კლინიკური რეკომენდაციები) <i>დავით ჯიქია, თამაზ ჩხიკვაძე, ვასილ არჩვაძე</i>	17
მწვავე აკნეციტი მართვა მოზრდილი ასაკის პაციენტებში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაილდანი) <i>გელა არაბიძე, ვია დათუაშვილი, ვია თომაძე, მერაბ კილაძე, ნოდარ ლომიძე, ბაადურ მოსიძე, თამაზ ჩხიკვაძე, ნიკოლოზ ფრუიძე, ბორის ჩაკვეტაძე, დავით ჯიქია</i>	30
მწვავე კალკულუზური ქოლესისტიტის დიაგნოზი და ოპერაციული მკურნალობა COVID-19-ის მქონე პაციენტის შემთხვევაში (კლინიკური შემთხვევა) <i>ვასილ აბულაძე, ლია გოლიაძე, ნანა დიდიძე, თინათინ კიკვაძე</i>	52
ELECTIVE SURGICAL PROCEDURES IN ONCOLOGICAL PATIENTS DURING THE COVID-19 OUTBREAK. THE COVID-FREE TRIAL <i>Alfonso Recordare, Giovanni Pirozzolo, Rubina Palumbo, Lucrezia D'Alimonte, Alice Albanese, Andrea Barelli, Sandro Panese, Maurizio Rizzo</i>	57
PRIMARY LEIOMYOSARCOMA OF THE BONE (CASE REPORT) <i>Mikheil Zimlitski, Giorgi Zimlitski, Grigol.Bregadze, Giorgi Loria</i>	61
„პირით-პირში“ ორმაგად ინვაზიონიზებული პანკრეატო-ივიუნონასტრომოზი ტრანსანასტრომული სტენტირებით და პანკრეატის სალიაგნოსტიკო მართვა <i>მერაბ კილაძე, მალხაზ მიზანდარი, ოთარ კეპულაძე</i>	66
პროფესორი აპაი ბერიძე — იუბილე <i>რამაზ სურმანიძე, როსტომ ცხვედიანი</i>	69
პროფესორ მერაბ კილაძის მახსენება <i>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მ.კილაძის სახ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასოციაცია</i>	72
ავტორის სამახსოვრო	75

CONTENTS

AUTHOR'S PREAMBLE	6
„100 YEARS OF THE DEPARTMENT OF GENERAL SURGERY“ <i>Iliia Chanukvadze</i>	7
DIAGNOSTIC CHALLENGES OF ABDOMINAL PAIN IN EMERGENCY SURGERY (CLINICAL RECOMMENDATIONS) <i>David Jikia, Tamaz Chkikvadze, Vasil Archvadze</i>	17
MANAGEMENT OF ACUTE APPENDICITIS IN ADULT PATIENTS NATIONAL RECOMMENDATION FOR CLINICAL PRACTICE (GUIDELINE) <i>Gela Arabidze, Gia Datuashvili, Gia Tomadze, Merab Kiladze, Nodar Lomidze, Baadur Mosidze, Tamaz Chkikvadze, Nikoloz Pruidze, Boris Chakvetadze, David Jikia</i>	30
DIAGNOSIS AND SURGICAL TREATMENT OF ACUTE CALCULOUS CHOLECYSTITIS IN PATIENTS WITH COVID-19 (CLINICAL CASE) <i>Vasil Abuladze 1, Lia Goladze2, Nana Dididze3, Tinatin Kikvadze4</i>	52
ELECTIVE SURGICAL PROCEDURES IN ONCOLOGICAL PATIENTS DURING THE COVID-19 OUTBREAK. THE COVID-FREE TRIAL <i>Alfonso Recordare, Giovanni Pirozzolo, Rubina Palumbo, Lucrezia D'Alimonte, Alice Albanese, Andrea Barelli, Sandro Panese, Maurizio Rizzo</i>	57
PRIMARY LEIOMYOSARCOMA OF THE BONE (CASE REPORT) <i>Mikheil Zimlitski, Giorgi Zimlitski, Grigol.Bregadze, Giorgi Loria</i>	61
DOUBLE-INDUCED PANCREATO-JEJUNOANASTOMOSIS IN THE "MOUTH-TO-MOUTH" WITH TRANSANASTOMIC STENTING AND OUTSIDE THE PANCREATIC DUCT BY DRAINAGE <i>Merab Kiladze, Malkhaz Mizandari, Otar Kepuladze</i>	66
PROFESSOR AKAKI BERIDZE – JUBILEE <i>Ramaz Surmanidze, Rostom Tskhvediani</i>	69
PROFESSOR MERAB KILADZE – MEMOIR <i>Tbilisi State Medical University M.kiladze Georgian Association of Minimally Invasive Surgeons</i>	72
AUTHOR'S COMMEMORATIVE	75

რედაქტორის წინასიტყვაობა

მოგესალმებით კოლეგებო!

წარმოგიდგენთ „გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მერვე ნომერს. ჟურნალის ნომერი შედარებით დავიანებით მომზადდა სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო. მათ შორის ყურადღება მიიღო გავამახვილო ავტორთა დაბალ აქტივობაზე. დღეს ჩვენი ჟურნალი თავისი არსებობის ახალ ეტაპზე გადადის, მიმდინარეობს მისი რეგისტრაცია „Scopus“-ის მონაცემთა ბაზაში – რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის სტატუსიდან (ამჟამად იგი რეფერირდება ადგილობრივად) მოხდება მისთვის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის სტატუსის მინიჭება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება „საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ განვითარებისათვის. მაგრამ ამ პროცესებს აბრკოლებს მიმოხილვითი, სამეცნიერო-პრაქტიკული, კვლევითი თუ სხვა ტიპის ნაშრომების მკვეთრი დეფიციტი. მხოლოდ თქვენი, საქართველოს ქირურგიული საზოგადოების წევრების, ავტორების, მკითხველების აქტიურობაზე დამოკიდებული ამ მნიშვნელოვანი წამოწყების მომავალი და პროგრესი.

მერვე ნომერში წარმოგიდგენთ საქართველოს გრ. მუხაძის ასოციაციის მიერ შემუშავებულ მწვავე აპენდიციტის მართვის ახალ, თანამედროვე საერთაშორისო გაიდლაინებზე დაფუძნებულ კლინიკურ რეკომენდაციებს (გაიდლაინს). ჩვენს მიერ წარმოდგენილი გაიდლაინი ფუძნდება რამდენიმე საერთაშორისო და ქართულ წყაროს. გაიდლაინის შემუშავების პროცესში განხორციელდა სხვადასხვა გაიდლაინების შეჯერება, თარგმნა, შემდგომ ადაპტაცია და ექსპერტიზა დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ. გაიდლაინების ძირითადი დებულებები განხილული იყო საქართველოს გრიგოლ მუხაძის ქირურგთა ასოციაციის 2018 21 სექტემბრის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა გადაუდებელ ქირურგთა მსოფლიო ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად. ადაპტირებისას მიღებულ იქნა კონსენსუსი საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2019 წლის სექტემბრის სხდომაზე. ამის გარდა, განხორციელდა გაიდლაინის ძირითადი რეკომენდაციების შედარება და მოდერნიზაცია გადაუდებელი ქირურგიის მსოფლიო საზოგადოების (WSWS) იერუსალიმის გაიდლაინის 2020 წლის განახლებებთან (Diagnosis and treatment of acute appendicitis: 2020 update of the WSES Jerusalem guidelines).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი ქირურგიის დაპერატამენტს (კათედრას) 2019 წელს შეუსრულდა დაარსებიდან 100 წელი. სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა „საქართველოს გრ. მუხაძის ქირურგთა ასოციაციის“ ერთ-ერთი ბოლო სხდომა, სადაც საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარსდგა ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ილია ჭანუყვაძე. ფართო საზოგადოებას, მკითხველს წარმოუდგენთ ამ მეტად საინტერესო მოხსენებას.

ჩვენი ჟურნალი გვერდს ვერ აუვლიდა დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, კორონავირუსულ პანდემიას და იმ გამოწვევებს, რომლებიც გაჩნდა ამ ინფექციის პირობებში. ასეთმა მასშტაბურმა აფეთქებამ შეცვალა მრავალი კლინიკის ფუნქციონალი და მთლიანად სისტემური მიდგომები. „მან გვაიძულა შეგვეცვალა არა მარტო ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, არამედ ისიც როგორ ვაკეთებდით“ (Dr. Giulio Mari, Desio Hospital in Desio). მთელს მსოფლიოში კადრების და გამოცდილების მწვავე დეფიციტის პირობებში წარმოიშვა ქირურგიული განყოფილებების რეორგანიზების, კადრების გადანაწილების და გადამზადების აუცილებლობა. კორონავირუსული ინფექციის პირობებში ქირურგიული აქტივობა მოითხოვს გარკვეული სპეციფიკური გადაწყვეტილებების მიღებას და ქმედებების განხორციელებას (მაგ.: კოვიდინფიცირებული პაციენტის ოპერირების გადაწყვეტილების მიღება, საოპერაციო ბლოკის შერჩევა და მომზადება, ანესთეზიის ტიპის შერჩევა და პაციენტის მომზადება, ოპერაციაში მონაწილე პერსონალის ტრენინგება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა და გამოყენება და სხვ.). ნომერში წარმოგიდგენთ ჩვენი კოლეგების გამოცდილებას Covid-19-ის მქონე პაციენტის შემთხვევაში, რომელსაც სასწრაფო ჩვენებით ჩაუტარდა ქოლესისტექტომია. შემთხვევა საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან მისი რეტროსპექტული ანალიზისას კარგად ჩანს კლინიკური და ეპიდემიოლოგიური სამსახურების ეფექტური თანამშრომლობის შედეგი.

ნომერში ასევე წარმოდგენილია იტალიელი კოლეგების შრომა „ელექტიური ქირურგიული პროცედურები ონკოლოგიურ პაციენტებში COVID-19-ის აფეთქების პერიოდში“. პანდემიის პირობებში სამედიცინო ცენტრებში გაჩნდა სამედიცინო პერსონალის და პაციენტების დაინფიცირების მაღალი რისკი, სწორედ ამ კონკრეტულმა გარემოებამ წარმოშვა დებატები: როგორ შეგვიძლია ვიმოქმედოთ სამედიცინო ცენტრების პარადოქსული შიდა საფრთხის გასაკონტროლებლად როგორც პაციენტების, ისე ჯანდაცვის მუშაკებისთვის? სწორედ ამ კითხვაზე არსებული პასუხებს განიხილავენ იტალიელი კოლეგები და გვიზიარებენ თავის გამოცდილებასა და მიგნებებს.

2019 წლის 21-23 ოქტომბერს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში გაიმართა გლობალური კონფერენცია — „ქირურგია და ანესთეზია“. კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა პროფესორი მერაბ არჩილის ძე კილაძე. ნაშრომმა მიღო საუკეთესო შეფასებები. წარმოგიდგენთ ამ ინოვაციური მეთოდის აღწერილობას, ასევე უცხოელი კოლეგების გამოხმაურებებსა და შეფასებებს.

„საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ მერვე ნომერში ქირურგიული საზოგადოება, მ.კილაძის სახ. საქართველოს მცირე ინვაზიური ქირურგთა ასოციაცია მოიგონებს რჩეულ მამულიშვილს, ლაპაროსკოპული ქირურგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს პროფესორ მერაბ მიხეილის ძე კილაძეს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

„გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეს“
მთავარი რედაქტორი დავით ჯიქია



ზოგადი ქირურგიის კათედრა

100

წელი

სურათი 1. პროფესორი გრიგოლ მუხაძე

„ქირურგია ხელოვნებათაგან ყველაზე კეთილშობილია“

აბუ ალი იბნ სინა

წინათქმა

ზოგად ქირურგიას, როგორც დისციპლინას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში. ეს განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, საგნის არსით, რომელიც მოიცავს დიდ ინფორმაციულ ბლოკს და წარმოადგენს საინტეგრაციო საფეხურს საბაზისო დისციპლინებსა და კლინიკურ დისციპლინებს შორის. იგი სცილდება საკუთრივ ქირურგიის ფარგლებს და მოიცავს ყველა საექიმო დარგისთვის სასარგებლო და აუცილებელ ინფორმაციას. ზოგადი ქირურგიის კურსის ძირითადი მიზანი სტუდენტთა მიერ ქირურგიულ ავადმყოფთა გამოკვლევის, სემიოტიკისა და ოპერაციული მკურნალობის საფუძვლების გაცნობაა, საიდანაც გამომდინარეობს საგნის ამოცანები, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე, უბრალოდ შეუძლებელია შემდგომი, არა მარტო ქირურგიული, არამედ ყველა სხვა კლინიკური დისციპლინის შესწავლა.

სწორედ ამიტომ მოიცავს ზოგადი ქირურგია ისეთ თავებს, როგორებიცაა: ასეპტიკა და ანტიასეპტიკა, გაუტიკვარება, რენიმაციული ღონისძიებები, სისხლის დენა და ჰემოსტაზის მეთოდები, სისხლისა და მისი შემცველი ხსნარების გადასხმა, ქირურგიული ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდები, ქირურგიული ოპერაციის სახეები, ეტაპები, ოპერაციისწინა და შემდგომი პერიოდები და სხვ.

ფაქტიურად, ყველა ქირურგიული დისციპლინის თეორიული საფუძველი და ბალავარი სწორედ ზოგადი ქირურგიაა. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი გრ. მუხაძის გადაწყვეტილება, 100 წლის წინ ორგანიზება გაეწია ქირურგიულ დისციპლინათა შორის უპირველესის, ზოგადი ქირურგიის კათედრის დაარსებისთვის. ქართული მეცნიერული ქირურგიის წინამძღოლმა კარგად იცოდა, რომ ზოგადი ქირურგია ფუნდამენტური და მაინტეგრირებელია ყველა სხვა ქირურგიული დისციპლინისათვის და უზრუნველყო ამ საბაზისო საგნიდან ქირურგიული მიმართულებების ჩამოყალიბება. გრ. მუხაძე წინ მიუძღვის ქართული ქირურგიის ბრწყინვალე შვიდეულს. ჩვენ დღეს მათ, როგორც ქირურგიული სკოლის ჩამომყალიბებელ მასწავლებლებს ვისხენებთ. ამ რვა პიროვნებას ერთმანეთთან ქირურგიის თავგანწირული სიყვარული და ზოგადი ქირურგიის კათედრა აკავშირებს, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ და ამ წუთიერი სოფელიდან სამარადჟამოდ სახელმწიფოქილინი სამუდამო სასუფეველს შეუერთდნენ.

*თსუ ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
პროფესორი ილია ჭანუყვაძე*

შესავალი

რუსეთის იმპერიაში წარმოებულმა რევოლუციებმა საქართველოსთვის გარკვეული პოზიტიური შედეგები მოიტანა:

- საქართველო, რომელიც რუსეთის იმპერიის წიაღში თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად იგულისხმებოდა, დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა.
- საქმის წარმოება სახელმწიფო ორგანიზაციებში (დაწესებულებებში) საყოველთაოდ ქართული გახდა.

- ფრთა შეესხა ქართველთა ოცნებას და საწავლო პროცესები ქართულად წარიმართა.
- საქართველოსკენ მასიურად დაიწყო დინება ინტელიგენციამ, რომელიც გაფანტული იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში და არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც. ამან განაპირობა, რომ ქართული საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში უკვე არსებული მძლავრი იდეა, უმაღლესი სასწავლებლის შექმნისა, საბოლოოდ განხორციელებულიყო.

უნივერსიტეტის დაარსება და სამკურნალო ფაკულტეტის იღვა

1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა. სამკურნალო ფაკულტეტის გახსნას იმ წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა დაასწრო, რადგანაც სამკურნალო ფაკულტეტის ორგანიზაცია გარდა შესაფერისი სამეცნიერო ძალებისა, რომელთა გამონახვა შესაძლებელი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართველ მეცნიერთა შორის და თვით საქართველოშიც, მოითხოვდა საორგანიზაციო დროს, ამასთანავე სასწავლო და სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებების შექმნას.

სამკურნალო ფაკულტეტის დაუყოვნებლად შექმნის აზრი პოპულარული იყო და აქტიურად ტრიალებდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში და საქართველოს მაშინდელ საკანონმდებლო ორგანოებში. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება ამ მიზნისათვის ფულის შეგროვებასაც კი შეუდგა.

1918 წლის თებერვალში, საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) სამკურნალო სექციამ მიმართა უცხოეთში მყოფ ქართველ პროფესორებს, დოცენტებს და მეცნიერ-ხელმძღვანელებს გაზაფხულისთვის ტიფლისში დაბრუნების შესახებ, სადაც უნდა გამართულიყო სხდომა და დაისმებოდა უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების საკითხი.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებას უახლოეს ამოცანად თვლიდა. 1918 წლის 8 მარტს, საბჭოს სხდომაზე, თხოვნით მიმართეს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას, შეგროვილი თანხით შეეძინათ საფრანგეთის მისიიდან (სამედიცინო) სამკურნალო წიგნთსაცავი და რენტგენის მოწყობილობა.

სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების საკითხი მზადდებოდა უნივერსიტეტის ყველა ხელმძღვანელ და მაშინდელი რესპუბლიკის სახელმწიფო წრეებშიც.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო, რომელიც შეიკრიბა 1918 წლის 2 მაისს დიდი სიფრთხილით მიუდგა ამ საკითხს.

საბჭოს თავის შემადგენლობაში არ ჰყავდა საექიმო განათლების პირები, ამიტომ გადაწყდა, რომ იმ ეტაპზე გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემტიკო ფაკულტეტი, საბჭო შევსებულიყო მედიკოსი პროფესორებით, რაც უზრუნველყოფდა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნის შესაძლებლობას.

ამ საქმის ორგანიზებაში დახმარება უნდა გაეწია ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას.

ამ გადაწყვეტილებიდან თვენახევრის შემდეგ 17 ივლისს უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, სექტემბერშივე გახსნილიყო სამკურნალო ფაკულტეტი.

1918 წლის 19 ივნისს შედგა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომა სპირიდონ ვირსალაძის თავმჯდომარეობით და უნივერსიტეტის მიმართვის თანახმად უნივერსიტეტის გამგეობაში წარმომადგენლებად აირჩიეს მედიცინის დოქტორები: ივანე თიკანაძე, სპირიდონ ვირსალაძე, გრიგოლ მუხაძე.

1918 წლის 25 ივნისს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომა, უკვე სამი ექიმის მონაწილეობით.

სხდომა დაადგინა: „დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები სამკურნალო ფაკულტეტის სექტემბრიდან გახსნისათვის და ფაკულტეტის საჭიროებისათვის მიწინეულ იქნეს სავადმყოფოები“.

ამ საქმის მოგვარება დაევალა გამგეობის წევრებისგან და ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წარმომადგენლობიდან შემდგარ კომისიას.

სამკურნალო ფაკულტეტი

1918 წლის 18 აგვისტოს სხდომაში საფუძველი ჩაუყარა ფაკულტეტის პირველ მეცნიერ-ხელმძღვანელთა კადრს და მატერიალურ ტექნიკური ზაზის შექმნას:

- ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგედ და პროფესორად აირჩიეს ხარკოვის უნივერსიტეტის პროზექტორი ალექსანდრე ნათიშვილი.
- ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორად – ხარკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ვარლამ მოსეშვილი.

ალდრა შეამდგომლობა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ ფაკულტეტის საჭიროებისთვის სხვადასხვა უწყე-



სურათი 2. პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე



სურათი 3. პროფესორი ივანე თიკანაძე

ბების საავადმყოფოები და ლაბორატორიები აუცილებელად დაკავშირებულიყო უნივერსიტეტთან.

უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ხელისუფლება ამ მიმართვას მზადყოფნით შეხვდა და პასუხისმგებლობით მოეკიდა.

ფაკულტეტის გართობა და პირველი მიღება

1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის აპრილამდე საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო ფაკულტეტები ერთიანი იყო, ყავდა ერთი პრეზიდიუმი, ყველა საკითხი, ეხებოდა იგი საბუნებისმეტყველოს თუ სამკურნალოს, წყდებოდა გართიანებულ სხდომებზე.

იმთავითვე გამოვლინდა სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლების მსურველთა დიდი ლტოლვა, ამიტომ პირველივე სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (18 წლის 20 ოქტომბერი) განისაზღვრა მისაღებ სტუდენტთა რიცხვი და შეიქმნა საკონკურსო პირობები.

ზოგადი ჰირურგიის კათედრის შექმნა

1919 წლის 10 იანვარს მესამე კურსის სტუდენტთა კლინიკური სწავლებით უზრუნველყოფისათვის ფაკულტეტის საბჭომ აირჩია:

- მეანობის კათედრის გამგედ და პროფესორად ივანე თიკანაძე,
- დიაგნოსტიკის კათედრის გამგედ და პროფესორად თავრიდის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ალადაშვილი,
- კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის გამგედ და პროფესორად სპირიდონ ვირსალაძე,
- ქირურგიული პათოლოგიის კათედრის გამგედ და პროფესორად მედიცინის დოქტორი გრიგოლ მუხაძე.

სწორედ ეს დღე ითვლება „ზოგადი ქირურგიის კათედრის“ დაარსების თარიღად!

ზოგადი ჰირურგიის კათედრა

თავდაპირველად მას ეწოდა „ქირურგიული პათოლოგიის კათედრა“. შემდეგ – „ზოგადი ქირურგიული პათოლოგიის კათედრა პროპედევტიკული კლინიკით“.

მოგვიანებით, 1928 წლის ბოლოს, ნიკოლოზ კახიანის კათედრის გამგეობის ვადაში მას ეწოდა „ზოგადი ქირურგიის კათედრა“.

ამრიგად, ზოგადი ქირურგიის კათედრა პროპედევტიკული კლინიკით დაარსდა 1919 წელს და განთავსდა „წმინდა მიქაელის“ საავადმყოფოში.

1922 წლიდან კათედრა გადაიტანეს „ამიერკავკასიის რკინისგზების“ საავადმყოფოში.

კათედრის პირველი გაგზავნა – გრიგოლ მუხაძე

ბატონი გრიგოლი კათედრას ხელმძღვანელობდა 1919 წლის 10 იანვრიდან 1921 წლის მაისამდე, როდესაც იგი გახდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე.

ფაქტიურად, იგი აყალიბებდა და განაგებდა ყველა ქირურგიულ მიმართულებას და არა მარტო ქირურგიულს.



სურათი 4. პროფესორი გრიგოლ მუხაძე

მაგალითად, ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ ყოფნის პერიოდში, უნივერსიტეტის საბჭო „გადაწყვეტილებით ანდობს პროფესორ მუხაძეს ზოგადი პათოლოგიის კათედრის მოწყობას, ფაკულტეტისათვის კლინიკური ქირურგიული ბაზების ორგანიზაციას და მოწყობას, კანისა და ვენერიული კლინიკის მოწყობას“.

1921 წლის იანვარში იგი შეუდგა ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის ორგანიზებას. იმავე წელს დაარსდა ყელის, ყურისა და ცხვირის სნეულებათა დოცენტურა, რომელსაც, როგორც გამგე, თავად უძღვებოდა, მედიცინის დოქტორ ასპისოვთან ერთად. ამავე დროს, არჩეული იყო ფაკულტეტის დეკანად.

ზოგადი ქირურგიის კათედრის დაარსებით, აკად. გრ. მუხაძემ საუკუნის წინ ჩაუყარა საფუძველი ქირურგიული მიმართულებების ცალკე დარგებად ჩამოყალიბებას; ამ მიზნით თავისი პირველი თაობის მოწაფეები გაამწესა: უროლოგიაში – ალექსანდრე წულუკიძე, ონკოლოგიაში – კონსტანტინე ვეფხვაძე, ტრავმატოლოგიაში – მიხეილ ცხაკაია, ქირურგიულ სტომატოლოგიაში – ალექსანდრე ედიბერიძე.

შეუძლებელია, ამომწურავად ისაუბრო გრ.მუხაძის ტიტანურ ღვაწლზე საქართველოში ქირურგიული საქმიანობის განვითარებაში. წარმოგიდგინთ მხოლოდ საკითხებს, რაშიც ზურგს მიმაგრებს აკადემიკოს მ. კომახიძის და ალ. ჩაჩანიძის ბიოგრაფიული ნაშრომი გრ. მუხაძის შესახებ:

- გრ.მუხაძე საქართველოს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი;
- გრ.მუხაძე თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი;
- გრ. მუხაძე და სამხედრო-საველე ქირურგია;
- გრ. მუხაძე მსოფლიო ომებში;
- გრ.მუხაძე ზოგადი ქირურგიის კათედრის ფუნდამენტიდან ახალი ქირურგიული განშტოებებისა და მოსაზღვრე დისციპლინების ფუძემდებელი;
- გრ.მუხაძე საქართველოს ქირურგიული საზოგადოების და ამიერკავკასიის ქირურგთა ყრილობების მოწვევისა და ჩატარების ორგანიზატორი;



სურათი 5. პროფესორი ნიკოლოზ კახიანი

- გრ.მუხაძე სისხლის გადასხმის საქმის და სამსახურის ორგანიზატორი (ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზოლოგიის ინსტიტუტის დაარსება);
- გრ.მუხაძე რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი;
- გრ.მუხაძე სსრკ სამედიცინო აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში;
- გრ.მუხაძის მოწაფეები და მისი მეთოდი ახალგაზრდების შერჩევასა და შემდგომ წამყვან ქირურგებად ჩამოყალიბებაში;
- გრ.მუხაძე კერძო ქირურგიის სახელმძღვანელოს ავტორი და გამოცემის ხელმძღვანელი;
- გრ.მუხაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა და გამოუქვეყნებელი შრომები;
- გრ.მუხაძის ხელმძღვანელობით შესრულებული დისერტაციები.

პროფესორი ნიკოლოზ კახიანი

ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელად პროფესორ მუხაძის არჩევის შემდეგ, 1921 წლის 23 მაისს, ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ, მუხაძის რეკომენდაციით, საფაკულტეტო საბჭოს სხდომაზე, არჩეული იყო პროფესორი ნიკოლოზ კახიანი. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი, მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოვებული პიროვნება;

1928 წლის საუნივერსიტეტო ჩანაწერებით პროფესორ კახიანთან კათედრის უფროსი ასისტენტია: მედიცინის დოქტორი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი; უმცროსი ასისტენტი: ეფრემ ფარნაოზის ძე ზაქარაია; ორდინატორები: ექიმები ალექსანდრე სოლომონის ძე ოსიძე (1925 წლიდან), სერგი ივლიანეს ძე ჩახუნაშვილი (1926 წლიდან), ეგნატე ყაის ძე ფიფია (1927 წლიდან) და მიხეილ იოსების ძე ტყავაძე.

კათედრას აქვს აუდიტორია, ლაბორატორია და 40 კლინიკური საწოლი. კათედრასთან შესრულებულია 23 სამეცნიერო შრომა.

გიმნაზიაში ნ. კახიანის თანაკლასელი იყო, მომავალში ცნობილი რეჟისორი, ევგენი ვახტანგოვი, რომელიც დიდ მომავალს ელოდა მისგანსახელოვნებო ასპარეზზე.

ნ.კახიანი ვლადიკავკაზში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი იყო და ქართველ მოსწავლეებს რუსულ ენასა და მათემატიკაში ამეცადინებდა.

ნიკოლოზ კახიანმა 1910 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი და ოთხი წელი იმუშავა იქვე ანატომიის კათედრაზე. იგი რამდენიმეჯერ მიავლინეს ქაიროში ბალნამირების ეგვიპტური წესის შესასწავლად.

შემდეგ მუშაობდა ეკატერინოსლავის უნივერსიტეტში ანატომიის კათედრის გამგედ.

1919 წელს გადმოვიდა თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში, ჯერ ჰისტოლოგიის, შემდეგ კი –



სურათი 6. ზოგადი ქირურგიის კათედრის შემადგენლობა და პროფესორი ნიკოლოზ კახიანი

ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგედ;

1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიული პათოლოგიის კათედრას პროპედევტიკული კლინიკით.

კლინიკა იმ დროს მინიმალური ინვენტარითაც არ იყო აღჭურვილი, კოლექტივმა ნ. კახიანის თაოსნობით სერიოზული და წარმატებული მუშაობა გაწავალა.

კახიანმა საქართველოში დანერგა კუჭის რეზექცია წყლულოვანი დაავადების დროს, ტვინის დანამატზე მიდგომის და მისი ამოკვეთის, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის სისხლის ძარღვების გადაკვანძვის, თავის ქალას ტრეპანაციის, გულის ჭრილობების გაკერვისა და სხვა ურთულესი ოპერაციები.

ნ.კახიანის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო. იგი განსაკუთრებით ზრუნავდა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის.

გრ. მუხაძესა და ა. მაჭავარიანთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მეცნიერული და კლინიკური ქირურგიის განვითარებას

კონსტანტინე ერისთავი წერდა: „ნიკოლოზ კახიანს ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ ახალგაზრდობის და ხალხის ყურადღება მიეპყრო. გარეგნულად ის ძალზე ლამაზი იყო. მოპყრობა კულტურული და რბილი ჰქონდა. ანატომიის კარგი ცოდნა ხელს უწყობდა ზედმიწევნით რთული ოპერაციების გაკეთებაში. ჩვენ ძალზედ შესმატებულად ვმუშაობდით ერთად, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე“.

ეფრემ ზაქარაიას აზრით: „გრიგოლ მუხაძემ და ნიკოლოზ კახიანმა ისეთივე რენესანსი მოუწყვეს ქართული ქირურგიას, როგორც მიქელანჯელომ, ჯოტომ, ტინტორეტომ, სანდრო ბოტიჩელიმ და ლეონარდომ იტალიურ ხელოვნებას“.

ნიკოლოზ კახიანი სრულიად ახალგაზრდა, 44 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პროფესორი კონსტანტინე ერისთავი

ნიკოლოზ კახიანის გარდაცვალების შემდეგ, 1928 წლიდან 1941 წლამდე, კათედრას ხელმძღვანელობდა კონსტანტინე ერისთავი.

კ.ერისთავმა თავის დაარსებულ „კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტში“ თავი მოუყარა უნიჭიერეს ახალგაზრდა კადრებს. მოწაფეებთან და მოწვეულ პრაქტიკოს მეცნიერებთან ერთად დანერგა გულის, სისხლძარღვების, ფილტვების, საყლაპავი მილის, თავის ტვინის ოპერაციები და ქირურგიის ინსტიტუტში დაარსა შესაბამისი განყოფილებები. მასვე მიუძღვის დიდი წვლილი საქართველოში ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის განვითარების საქმეში. მასვე ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ქირურგიის, მორფოლოგიის, ონკოლოგიისა და მედიცინის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს სამედიცინო სფეროში, არ დაწყებულა ახალი საქმე, რომლის ინიციატორი, ორგანიზატორი ან აქტიური მონაწილე კონსტანტინე ერისთავი არ ყოფილიყო.



სურათი 7. ცენტრში ნიკოლოზ კახიანი მეუღლესთან ქალბატონ ტერეზასთან ერთად. სურათი გადაღებულია კახიანების საგვარეულო სახლის ეზოში სოფელ როკითში, სადაც ბატონი ნიკოლოზი ზაფხულობით თანამშრომლებთან ერთად ჩადიოდა და ქირურგიულ ოპერაციებს ატარებდა. კახიანების საოჯახო არქივი. მოგვაწოდა პროფესორ ზაზა კახიანის ქალიშვილმა ქალბატონმა დარეჯანმა.

სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად მისი დანიშვნიდან სულ რაღაც 3-4 დღეში დიდი სამამულო ომი დაიწყო. დაავალეს, ოთხკურსგავლილი ყველა სტუდენტი ვაჟი ფრონტზე, რიგითი მებრძოლის სტატუსით, გასაწვევად მოემზადებინა. ამ ამბავმა იგი საგონებელში ჩააგდო, თუმცა პირველი მსოფლიო ომის საკუთარი გამოცდილება მოიშველია. იცოდა, რომ ოთხწლიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შესაბამისი ცნობის წარდგენის შემთხვევაში, უფლება მიეცემოდათ არა ჯარისკაცებად, არამედ ფრონტის და ზურგის ჰოსპიტლებში ექიმებად ემუშავათ. მან გამოიყენა ეს ინფორმაცია და მობილიზება გაუწია ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს ცნობების სასწრაფოდ დასაბეჭდად. 3 დღეში სტუდენტების წასაყვანად ეშელონი ჩამოდგა. ინსტიტუტის დირექტორმა მოასწრო და დანიშნულების ადგილას, კომისარიატებში, მიიტანა დაბეჭდილი ცნობები. ამის წყალობით ყველა ოთხკურსგავლილი სტუდენტი, ჯარისკაცის სტატუსის ნაცვლად ექიმებად გაიწვიეს.



სურათი 8. პროფესორი კონსტანტინე ერისთავი



სურათი 9. პროფესორი კონსტანტინე ერისთავი

ზოგადი ქირურგიის კათედრის შემდეგ, კ. ერისთავი განაგებდა საფაკულტეტო ქირურგიის (1941–1950), ხოლო შემდეგ ჰოსპიტალური ქირურგიის (1949–1960) კათედრებს.

პროფესორი ევრემ ზაქარაია

1941 წლიდან კათედრის გამგედ აირჩიეს ევრემ ზაქარაია.

პროფესორ ევრემ ზაქარაიას შესახებ ორი მონოგრაფია არსებობს: 1984 წელს პროფესორ თინა სირიას და 1996 წელს თინა სირიასა და ზაზა კახიანის ავტორობით გამოცემული.

პროფესორმა ნიკოლოზ საპუჯკომ, მას ახალგაზრდობაშივე, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა და საფაკულტეტო ქირურგიული კლინიკის ორდინატორად დატოვა. განზრახული ჰქონდა, მომავალში მისთვის კათედრაც ჩაებარებინა. მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ბატონი ევრემი ფრონტზე წავიდა. იგი მოწინავე ხაზზე მუშაობდა სამხედრო ექიმად, არაერთი მეომარი გადაარჩინა სიკვდილს და საბრძოლო დამსახურებისა და სიმამაცისთვის სამჯერ მიიღო წმინდა გიორგის ჯვარი.

1915 წელს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ჰოსპიტალს და ევრემი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაშიც იგი ექიმად მუშაობდა. ტყვე რუსი ჯარისკაცის გამოსარჩელების და გადარჩენისთვის კარცერშიც მოხვდა, ეს ამბავი გახმაურდა. ნიკოლოზ მეორემ მამაცი ექიმი წმინდა გიორგის მეოთხე ჯვრითა და წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვა.

1921 წელს ე. ზაქარაია საქართველოში დაბრუნდა. რამდენიმე თვე მშობლიურ რაიონს ემსახურებოდა. მერე თბილისში, თსუ-ს პროპედევტიკულ-ქირურგიულ კლინიკაში მიიღეს ასისტენტად.

რვა წელი ნ. კახიანთან ერთად იმუშავა. მისი დაკრძალვის დღეს, როცა პროცესიამ რკინიგზის საავადმყოფოს ჩაუარა, ევრემმა, როგორც ერთერთმა მემკვიდრემ, აივნიდან ანგარიში ჩააბარა ნიკოლოზ კახიანს, ისეთი ფორმით, როგორც ეს დილის კონფერენციაზე ხდება.

მისი თანამედროვეების გადმოცემით იგი უზადლო ქირურგი, ფენომენური ნიჭის პატრონი და ბრწყინვალე ორატორი იყო. ლექციის გადაცემის დროს უყვარდა



სურათი 10. პროფესორი ევრემ ზაქარაია

მაგალითების ილუსტრირება სურათებით, ცხრილებით, რენტგენოგრამებით და პაციენტებით. თუ საჭიროდ მიიჩნევდა, დაფაზეც დახატავდა ხოლმე – ხატვაც ეხერხებოდა. იხსენებენ, ოპერაციას კი არ აკეთებდა – თითქოს ხელოვნების ნიმუშს ქმნიდაო.

იყო მხატვრული ლიტერატურის ჩინებული მცოდნე. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, ადგილები შექსპირის ტრაგედიებიდან, სხვადასხვა პოეტის ლექსები. ლექციის დროს, თუ აუდიტორიას დალღას და ყურადღების მოდუნებას შეატყობდა, ისე ჩაურთავდა თხრობაში მხატვრულ ნაწარმოებს, როგორც ლექციის ბუნებრივ გაგრძელებას.

მის ბინაში იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, სადაც მწერლები და მეცნიერები იკრიბებოდნენ.

ევრემ ზაქარაიას ნაშრომები ეხება ტეტანუსის მკურნალობის, ართროპლასტიკის, სწორი ნაწლავისა და მუცლის ღრუს ქირურგიის საკითხებს.

მუცლის ღრუს გარდა მალალ დონეზე ატარებდა გულმკერდის, ნეიროქირურგიულ, ონკოლოგიურ, ორთოპედიულ და ტრავმატოლოგიურ ოპერაციებს. საბჭოთა კავშირში პირველმა მან გააკეთა ოპერაცია კრონის დაავადების გამო, 1937 წელს თბილისში.

იყო საზოგადო მოღვაწე, აქვეყნებდა ნარკვევებს კოლხეთის ჭაობების ამოშრობის თაობაზე.

გარდაიცვალა 1946 წლის 18 დეკემბერს. 57 წლის ასაკში. გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე, ევრემ ზაქარაია აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

პროფესორი ლავით იოსელიანი

ევრემ ზაქარაიას გარდაცვალების შემდეგ 1947 წლის იანვარში ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ აირჩიეს პროფესორი ლავით იოსელიანი.

1934 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას, რომლის ბაზაზეც ამოქმედდა სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრა.

დ. იოსელიანს უკვე ჰქონდა მდიდარი სასწავლო-პედაგოგიური გამოცდილება ოპერაციული ქირურგიისა და



სურათი 11. პროფესორი ეფრემ ზაქარაია სამხედრო სამსახურში



სურათი 12. პროფესორი დავით იოსელიანი

ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მოღვაწეობით. კერძოდ, 1919 წლიდან იყო ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის ასისტიენტი ნ.კახიანთან, რომელიც იმ პერიოდში განაგებდა კათედრას.

1934 წლიდან იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დოცენტურის გამგე.

1937 წელს აირჩიეს ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგედ სამედიცინო ინსტიტუტში. ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

თანამშრომლებს ოჯახის წევრებივით პატრონობდა და მფარველობდა, ასე იგონებდა მას ვლადიმერ ბურაკოვსკი, რომელმაც ახალგაზრდობის გარკვეული წლები ზოგადი ქირურგიის კლინიკურ ბაზაზე გაატარა.

დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა არამარტოსაქართველოში, მის გარეთაც. ჰქონდა საქმიანი ურთიერთობები: ჯვანელიძესთან, შევკუნენეკოსთან, იუდინთან, ბაკულევთან, კუპრიანოვთან, ვიშნევსკისთან, პეტროვთან, როზანოვთან, არაპოვთან, ტობჩიბაშევთან. ამ კავშირებს იყენებდა სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობაში ახალგაზრდობის წინ წასაწევად.

პროფესორი დავით იოსელიანი 21 წელი განაგებდა კათედრას. გარდაიცვალა 1968 წელს. როცა ჩვენ, ზოგადი ქირურგიის სწავლა დავიწყეთ, პირველი ლექცია მიხეილ ჩაჩავამ ჩავგიტარა, საოცარი სიყვარულით და ცრემლებით მოიგონა მასწავლებელი და უფროსი მეგობარი.

პროფესორი მიხეილ ჩაჩავა

1968 წლიდან ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი მიხეილ ჩაჩავა.

საზოგადოების ფართო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი მიხეილ ჩაჩავას პიროვნება მისი ღვაწლი პრაქტიკულ ქირურგიაში, მეცნიერებასა და პედაგოგიკაში.

იგი იყო წარმატებული ზოგადი ქირურგი: მუცლის ღრუს ურგენტული და გეგმიური ქირურგია, გულმკერდის და გულსისხლძარღვთა ქირურგია, ძვალ-სახსართა ქირურგია, პროქტოლოგია, ქირურგიული ფტიზიატრია და

დამწვრობა. ფლობდა ღვთისაგან მინიჭებულ იღბალს და წარმატებულ ქირურგიულ ნოვაციებს ყველა ჩამოთვლილ სფეროში.

ჩვენი თაობის სტუდენტობას გვახსოვს მისი ლექციები - გასაგებად, მარტივად გადმოსცემდა თემას, უმეტესად ცოცხალი დემონსტრაციებით. იხსენებდა შემთხვევებს საკუთარი პრაქტიკიდან.

ერთერთ ლექციაზე შემოიყვანა პაციენტი, რომელსაც ვირხოვის ჯირკვალი აღმოუჩინა მარცხენა ლავიწზედა ფოსოში, წინ ვიჯექი და ხელით გამასინჯა წარმონაქნი. მითხრა, რასაც ხელით გასინჯავ არასოდეს დაგავიწყდებაო.

ვესწრებოდით მის მიერ ჩატარებულ ოპერაციებს. შეგვიმჩნევია, გადაშლილი ანატომიური ატლასი ედო მალალ სკამზე, ოპერაციის მსვლელობას შეაჩერებდა, ატლასს ჩახედავდა და ოპერაციას უბრუნდებოდა გაგონილი მქონდა, რომ გარკვეული პერიოდი ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე მოღვაწეობდა, გამიკვირდა ანატომიას ახლა ეცნობათქო. წლების შემდეგ და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასპირანტი გავხდი მივხდი ამას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აკეთებინებდა, ატლასის ნორმალურ სურათს ადარებდა პათოლოგიაში ჩაფლულ ანატომიურ წარმონაქმნებს. ამოწმებდა, არაფერი გამორჩენოდა.

ბატონი მიხეილი ხშირად მონაწილეობდა ქირურგთა საერთაშორისო კონგრესებში, უღებდნენ უცხოური კლინიკების კარებს, 1960 წელს ხანგრძლივი ვადით მიიწვიეს ინგლისში, სადაც საჩვენებელი ოპერაციაც კი ჩაატარა.

მიხეილ ჩაჩავამ ეპოქა შექმნა და იგი ერთერთი ბრწყინვალე ვარსკვლავია იმ თანავარსკვლავედში, რასაც მისი წინამორბედნი წარმოადგენდნენ.

უმაღლესი საწვავლებლების მაშინდელი კანონმდებლობით 72 წლის ასაკში 1974 წელს, კათედრის მეცნიერ-კონსულტანტად გადაიყვანეს.

გარდაიცვალა 1983 წლის 14 ივნისს.

მიხეილ ჩაჩავას დროს (1971 წელს) კათედრაზე მუშაობდნენ პროფესორები: მარიამ კვიციანი (1927), ლეონიდე დვალი (1967). დოცენტი: ანატოლი ტოგონიძე



სურათი 13. პროფესორი მიხეილ ჩაჩავა

(1949). ასისტენტები: ქეთევან უზნაძე (1959), პარმენ კახიძე (1967), გრიგოლ კუზანოვი (1967), გურამ მაგლობლიშვილი (1968), ვახტანგ მეტრეველი (1968).

პროფესორი ბიორბი ბოჭორიშვილი

1974 წლიდან 1981 წლამდე კათედრას განაგებდა პროფესორი გიორგი ბოჭორიშვილი.

გრიგოლ მუხაძის მოწაფეთა მეორე თაობის გამორჩეული პიროვნება. თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1941 წელს ფრონტზე გაიწვიეს, სადაც დაკარგა ქვემო კიდური ბარძაყის დონეზე. თვითონვე მოახერხა ჰემოსტაზი ბარძაყის არტერიის დახშობით.

ძლიერი პიროვნება, შეუდრეკელი, ენერგიული. ბრწყინვალე ქირურგი და პედაგოგი, შთამბეჭდავი ლექციებით.

იყო წარმატებული ტრავმატოლოგი. ხშირად, ლექციებზე აწარმოებდა ქირურგიული მანიპულაციების დემონსტრირებას.



სურათი 14. პროფესორები მიხეილ ჩაჩავა და გიორგი ბოჭორიშვილი

მსცოვანი პროფესორი, ქირურგიის პატრიარქი ბატონი გოგი კაკოიშვილი ასე იგონებს პროფესორ ბოჭორიშვილს: „გრიგოლ მუხაძის, დიდი და საყვარელი მოწაფე – ბატონი გოგი (გიორგი) ბოჭორიშვილი – მრავალმხრივი ქირურგი, მეცნიერი და პედაგოგი იყო მისი აღზრდილია ქართველ ექიმთა არაერთი თაობა. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა საქართველოს არც ერთ კუთხეს და ადგილზე უწევდა დახმარებას პაციენტებს, და გვერდში ედგა რაიონული საავადმყოფოების ქირურგებს, რომელთა უმრავლესობის ქირურგებად ჩამოყალიბების საქმეში ბატონ გოგი ბოჭორიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის“.

ბატონი გიორგი მეტად პროდუქტიული მეცნიერი და პედაგოგი იყო. 18 წიგნის ავტორი, რომელთაგან 4 ზოგადი ქირურგიის სახელმძღვანელოა, მათ შორის პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი. ამ წიგნებით მან დიდი სამსახური გაუწია ზოგადი ქირურგიის საგანს.

ერთ-ერთმა პირველმა დანერგა საქართველოში თრომბოემბოლიური დაავადების აქტიური მკურნალობის მეთოდი. განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლიდა ურგენტულ ქირურგიას, სისხლძარღვთა ქირურგიას, დამწვრობასა და მოტეხილობას.

1981 წლიდან გადავიდა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორად.

რამდენიმე თვის წინ საქართველოს გრ. მუხაძის ქირურგთა ასოციაციამ სპეციალური სხდომა მიუძღვნა და ღირსეულად აღნიშნა ბატონი გოგის დაბადების 100 წლისთავი.

გიორგი ბოჭორიშვილის პერიოდში კათედრაზე მოღვაწეობდნენ პროფესორები: ლეონიდე დვალი, ვახტანგ მეტრეველი, ქეთევან უზნაძე. დოცენტი: ანატოლი ტოგონიძე. ასისტენტები: პარმენ კახიძე, გიორგი კუზანოვი, ოთარ თევდორაძე. უფროსი ლაბორანტი ავთანდილ სალინაძე.

პროფესორი ბივი გონჯილაშვილი

1981 წლიდან 1999 წლამდე ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე ბატონი გივი გონჯილაშვილია.

კათედრის გამგედ მის მოსვლას მნიშვნელოვანი დროით უსწრებდა წინ საზოგადოებაში მისი, ქირურგიულ სარბიელზე მოპოვებული ავტორიტეტი და ცნობადობა.

თსსი-ის 1956 წელს დამთავრების შემდეგ გაიარა კლინიკური ორდინატურა მიხეილ ჩაჩავასთან, რის შემდეგაც დამოუკიდებელად გადაეშვა პრაქტიკულ საქმიანობაში, ჯერ აფხაზეთში, სადაც უკვე აწარმოებდა მაშინდელი დროისათვის ქირურგიული ტექნიკის მაღალ პილოტაჟად მიჩნეულ ოპერაციას – კუჭის რეზექციას. მას იყენებდა, როგორც გემიური ავადმყოფების სამკურნალოდ, ასევე ურგენტულ შემთხვევებში.

გორში, განსაკუთრებულად გაითქვა სახელი, როგორც გულსხმიერმა დასტაქარმა, რომელიც არ უშინდებოდა წინააღმდეგობას, ტაქტიკიანად და ჰუმანურად გადალახავდა მას.

გამბედაობა და ბრძოლის უნარი ყოველთვის ჭარბად ჰქონდა, მაგრამ იღბალიც არ ლალატობდა.

დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი წელი, საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე მოღვაწეობდა პროფესორ ეგნატე ფიფიასთან. ბატონი ეგნატე გამორჩეულად



სურათი 15. პროფესორი გოგი ბოჭორიშვილი



სურათი 16. პროფესორი გივი გონჯილაშვილი

აფასებდა გონჯილაშვილის შესაძლებლობებს, იმდენად რომ, როცა მის ვაჟიშვილს პროფესორ ვახტანგ ფიფიას აპენდიციტიმა შემოუტია გივის დაავალა ოპერაციის წარმოება.

1972 წლიდან ბატონი გივი სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ქირურგიულ სამსახურს ხელმძღვანელობს. აქ, მისი საქმიანობის სფეროს დაემატა ქირურგიის უმძიმესი მიმართულება პორტული ჰიპერტენზია, ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა პროფესორ პაციორასთან და კიმ ცაცანიდთან მოსკოვის პორტული ჰიპერტენზიის ცენტრში.

ჰქონდა ორიგინალური ნოვაციები. მაგალითად ღვიძლის, უკანა სეგმენტებით, გადანაცვლება რეტროპერიტონულ სივრცეში პორტა-კავალური ანსტომოზების შექმნის მიზნით, ეს მეთოდი დაინერგა მოსკოვის პორტული ჰიპერტენზიის ცენტრში.

ბატონი გივი ვრიგოლ მუხაძის სკოლის მესამე თაობად თვლიდა თავს. უშუალო მასწავლებლებად მიხილ ჩაჩავა და ეგნატე ფიფია ეამყებოდა.

ბატონი გივი თვითნაბადი, ღვთისგან ხელდასხმული ბედნიერი ქირურგი იყო.

ბედნიერი იყო პირად ცხოვრებაშიც. ოჯახი ქალბატონ დეზი ჩაგანავასთან შექმნა და მასთან ერთად მამულს სამი სასიქადულო შვილი აღზარდა, რომელთაც ქართული საზოგადოება კარგად იცნობს.

პოეზიის მოყვარული, თვითონ პოეტური სულის მქონე, ვაჟა-ფშაველას აღმერთებდა განსაკუთრებით უყვარდა ვაჟას ლექსი „ვედრება“, ქირურგის სული ტრიალებს ამ ლექსშიო მეტყოდა.

გასულ წელს თებერვალში 90 წლის გივი გონჯილაშვილი შვილების და შვილიშვილების გარემოცვაში მიიცვალა, შეუერთდა მის წინამორბედ დასტაქართა, მასწავლებელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედს.

პროფესორ გონჯილაშვილის დროს კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ პროფესორები: ლეონიდე დვალი, ვახტანგ მეტრეველი, ქეთევან უზნაძე, გურამ მაგლობლიშვილი, ნუგზარ ტოგონიძე, თამაზ ჩხიკვაძე. დოცენტები: გიორგი კუზანოვი, ოთარ თევდორაძე, ილია ჭანუყვაძე. ასისტენტები: ვასილ არჩვაძე, გია ბარამიძე, იოსებ მაგლობლიშვილი. უფროსი ლაბორანტი ავთანდილ სალინაძე.

პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე

1999 წლიდან 15 წლის განმავლობაში კათედრას, რომელსაც შემდგომ დაერქვა ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი, უძღვებოდა პროფესორი თამაზ ჩხიკვაძე, მან პირველმა დანერგა კლინიკაში ექსტრაკორპორალური დეტოქსიკაციის მეთოდი - ჰემოსორბცია და გაწოვადი საკერი მასალის ამიცელონის გამოყენება. მისი რედაქტორობით და მონაწილეობით კათედრის წევრებმა გამოსცეს „ზოგადი ქირურგიის“ სახელმძღვანელო.

კათედრა დღეს

ყოველწლიურად 1000 სტუდენტი გაივლის ორ სემესტრიან სასწავლო კურსს.

ამჟამად, 320 უცხოენოვანი, 21 რუსულენოვანი, 110 საზოგადოებრივი მედიცინის და 520 მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გადის ფუნდამენტური საგნის „ზოგადი ქირურგიის კურსს“.

კათედრაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებულია 21 სამეცნიერო შრომა, რომელთაგან 4 უცხოეთის პრესტიჟულ ჟურნალებშია გამოქვეყნებული, ერთი მონოგრაფია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა 2016 წელს. კათედრის თანამშრომლები მოღვაწეობენ რესპუბლიკურ და უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში. თავის დროს კათედრის ახლანდელი თანამშრომლების მიერ საქართველოში პირველად დაინერგა მკერდის ლიმფური სადინრის დრენირების მეთოდი, ენტირალური კვების ორგინალური მეთოდი, საზარდულის თიაქარკვეთის ნოვაციები. კათედრის თანამშრომელი აწარმოებდა სხივური ტრავმით გამოწვეული დაავადებების მეცნიერულ კვლევასა და მკურნალობას. ამჟამად, საბჭოზე დამტკიცებულია და მუშავდება ექსპერიმენტული კვლევის სამი სადოქტორო დისერტაცია.

დღეს დეპარტამენტი განთავსებულია რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე და თვითონ არ არის კლინიკის სტრუქტურაში. იმედი გვაქვს, რომ ეს დროებითი მდგომარეობაა.

მინდა აღვნიშნო უანგარო დახმარება რაც დეპარტამენტს გაუწია პროფესორმა გია ნემსაძემ. უკვე მეოთხე წელია მის ბაზას ვიყენებთ კლინიკური სწავლებისათვის,



სურათი 17. ზოგადი ქირურგიის კათედრა (1997). პროფესორები: გივი გონჯილაშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, გურამ მგალობლიშვილი; დოცენტები; დავით ხაზარაძე, ვასილ არჩვაძე; კათედრის ლაბორანტი დავით ჯიქია; ორდინატორი მამუკა გონჯილაშვილი. განყოფილების გამგეები: ზურაბ თურმანიძე, კახა ჭუბაბრია; კლინიკის ექიმები: მალალო ლორთქიფანიძე, მანანა არაბიძე, ჯამბულ ბარბაქაძე, თეიმურაზ კანდელაკი, თამილა სუმბაძე, ვაჟა ლორია, ნიკა გოჩაშვილი, გიორგი უთურგაშვილი, გიორგი თურმანიძე.

იგი სასწავლო პროცესშიცაა ჩართული და ლექციებსაც უკითხავს სტუდენტთა გარკვეულ კატეგორიას.

ასევე, მადლიერებას გამოვხატავ უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ელგუჯა გოცირიძის მიმართ,

ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში ჩვენი სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობის პირობების შექმნისათვის. ასეთივე მადლიერებით მოვიხსენიებ თბილისი სიტი მედიკალის და პინეოს კლინიკებს.



სურათი 18. ზოგადი ქირურგიის კათედრა დღეს (თსსუ ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი, 2018); პროფესორი ილია ჭანუყვაძე, ასოცირებული პროფესორი ვასილ არჩვაძე, ასისტენტ-პროფესორები: ნანა ხოტენაშვილი, დავით ჯიქია, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი: როსტომ ცხვედიანი; მოწვეული პროფესორები: გიორგი კაკოიშვილი, დავით ხაზარაძე, მოწვეული პედაგოგები: გია თაბერძე, გიორგი მერაბიშვილი, თეა ზურაბიშვილი.

მუცლის ტკივილის სადიაგნოსტიკო გამოწვევები გადაუდებელ ქირურგიაში (კლინიკური რეკომენდაციები)

დავით ჯიქია¹, თამაზ ჩხიკვაძე², ვასილ არჩვაძე¹

¹თსუ ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი, ²შპს ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკა

პასუხისმგებელი პირი: დავით ჯიქია, d.jiqia@tsmu.edu

რეზიუმე | მუცლის ტკივილი დღესაც კრიტიკული მედიცინის სადიაგნოსტიკო გამოწვევად რჩება. მუცლის ტკივილი გადაუდებელი მომართვების 5-10%-ს შედგენს. აქედან, ამბულატორულად გაწერილ პაციენტთა 25%-ში და სტაციონარში მოთავსებულ პაციენტთა 35-40%-ში დიაგნოზი არადიფერენცირებულია. დიფერენციალური დიაგნოზის არეალი ძალზე ფართო და მრავალფეროვანია, მოიცავს ინტრააბდომინურ და ექსტრა-აბდომინურ ქირურგიულ თუ არაქირურგიულ პათოლოგიებს. ასოცირებული სიმპტომები ხშირად მოკლებულია სპეციფიკურობას. ნაშრომში წარმოდგენილია მუცლის ტკივილის კლასიფიცირების სხვადასხვა ვარიანტები და მათი გამოყენების მნიშვნელობა მუცლის ტკივილის დიფერენციულ დიაგნოსტიკაში. ასევე, ყურადღება გამახვილებულია ანამნეზის შეკრების მნიშვნელობაზე და ანალგეზიის საკითხებზე გადაუდებელი დახმარების დანაყოფებში. მოცემულია ფიზიკალური კვლევის ალგორითმი. ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება გადაუდებელი დახმარების ექიმებისათვის, ქირურგებისთვის სტუდენტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მუცლის ტკივილი, გადაუდებელი ქირურგია, მუცლის ტკივილის დიფერენციალური დიაგნოზი

ღეჟინიცია

ცხრილი 1. დაავადებით მოცული კლინიკური ფგომარეობები

მუცლის ტკივილი დღესაც კრიტიკული მედიცინის სადიაგნოსტიკო გამოწვევად რჩება. მუცლის ტკივილი გადაუდებელი მომართვების 5-10%-ს შედგენს. აქედან, ამბულატორულად გაწერილ პაციენტთა 25%-ში და სტაციონარში მოთავსებულ პაციენტთა 35-40%-ში დიაგნოზი არადიფერენცირებულია.

დიფერენციალური დიაგნოზის არეალი ძალზე ფართო და მრავალფეროვანია, მოიცავს ინტრააბდომინურ და ექსტრააბდომინურ ქირურგიულ თუ არაქირურგიულ პათოლოგიებს. ასოცირებული სიმპტომები ხშირად მოკლებულია სპეციფიკურობას.

განსაკუთრებულ ჯგუფს განეკუთვნება ხანდაზმული, იმუნოკომპრომეტირებული, რეპროდუქციული ასაკის ქალი პაციენტები, ასევე თანმხლები (მაგ.: შაქრიანი დიაბეტი) და სისტემური დაავადებების მქონე პაციენტები. ასეთ შემთხვევებში ხშირია არასპეციფიკური ჩივილები, ატიპური სიმპტომები და მიმდინარეობა, რაც დაგვიანებულ დიაგნოსტიკას განაპირობებს.

მუცლის ტკივილის კლასიფიკაცია და დიფერენციალური დიაგნოზი

მუცლის ტკივილს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ICD 10 კლასიფიკატორში; დაავადებით მოცული კლინიკური მდგომარეობები წარმოდგენილია ცხრილში 1.

წარმოშობის მიხედვით მუცლის ტკივილი შესაძლოა იყოს ინტრააბდომინური, ექსტრააბდომინური, მეტაბოლური ან ნეიროგენული (სქემა 1).

დასახელება	კოდი
ნოზოლოგია, მდგომარეობა	ICD 10
მწვავე მუცელი	R10.0
ტკივილი ლოკალიზებული მუცლის ზემო ნაწილში	R10.1
მუცლის სხვა ქვედა ნაწილებში ლოკალიზებული ტკივილი	R10.3
სხვა და დაზუსტებული ტკივილი მუცლის არეში	R10.4
მუცლის რიგილობა (დაჭიმულობა)	R19.3


მუცლის ტკივილი ტიპის მიხედვით შეიძლება იყოს ვისცერული, სომატური, ანგიოგენური ან ირადირებული (სქემა 2)

ტკივილი დაზიანებული ქსოვილის რეცეპტორების აგზნების შედეგია; არსებობს რეცეპტორების ორი ჯგუფი: - ვისცერული პოლიმოდალური რეცეპტორები, რომელთა სუსტი გალიზიანება იძლევა ინფორმაციას ორგანოს მდგომარეობის შესახებ, ძლიერი გალიზიანება კი – ტკივილის შეგრძნებას;


- სომატური ტკივილის მექანორეცეპტორები (ნოციცეპტორები), რომელთაც აქვთ მგრძნობელობის მაღალი ზღურბლი და მათი სტიმულაცია იწვევს ტკივილს.

შესაბამისად, განარჩევენ ტკივილის შემდეგ სახეებს: ვისცერული – წარმოიქმნება უშუალოდ დაზიანებულ ორგანოში (სურათი 1), აქვს მძიმე ხასიათი და ჩვეულებრივ თან ახლავს ოფლდენა, გულისრევა, პირღებინება, კანის მკვეთრი სიფერმკრთალე. ასეთი ტკივილი შესაძლებელია

სქემა 1. მუცლის ტკივილის კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით



სქემა 2. მუცლის ტკივილის ტიპები




ლოკალიზდეს (მიგვანიშნოს პაციენტმა) ეპიგასტრიუმში, ჭიპის მიდამოში ან ბოქვენის სიმფიზს ზემოთ.

სომატური რეცეპტორებით მდიდარია პერიტონეუმი (ასეთ ტკივილს ხშირად პარიესულსაც უწოდებენ), ბადექონი, ისინი გვხვდება სანაღვლე გზებსა და შარდსაწვეთებშიც. ამ სახის ტკივილი გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით და პაციენტი კარგად მიგვანიშნებს მის ლოკალიზაციას.

არეკლილი ტკივილი მუცლის ღრუში წარმოიქმნება დაზიანებული ორგანოს ძალზე ძლიერი გაღიზიანებისას და აღინიშნება თავის ტვინის, ტვინის გარსების დაავადებების და სხვა შინაგანი ორგანოების პათოლოგიებისას.

პირობითად გამოყოფენ მუცლის ტკივილის ორ მიზეზს: მუცლის ღრუს ორგანოების შებერვა (ვისცერული ტკივილი) და პერიტონეუმის გაღიზიანება (პარიესული ტკივილი).




სურათი 1. მუცლის ტკივილის გამომწვევი ვისცერული ორგანოები

მუცლის წინა კედლის ტოპოგრაფიული დაყოფა

კლინიკურ პრაქტიკაში, განსაკუთრებით გადაუდებელი დახმარების დანაყოფებში, მეტად მნიშვნელოვანია, მუცლის ტკივილის ტოპოგრაფიის შეფასება. ტკივილის ტიპის, ლოკალიზაციის და ტოპოგრაფიის მიხედვით შესაძლებელია წარნატებული დიფერენციული დიაგნოსტიკის გატარება.

მიღებულია მუცლის წინა კედლის და, შესაბამისად, მუცლის ღრუს დაყოფა ნახევრებად, კვადრანტებად და მიდამოებად (იხ. სურათი 2).
სადიაგნოსტიკო ალგორითმში მეტად მნიშვნელოვანია მუცლის ტკივილის მიზეზების კლასიფიცირება რეგიონული განაწილების პრინციპების მიხედვით (ცხრილი 2).



სურათი 2. მუცლის წინა კედლის დაყოფის ვარიანტები

ცხრილი 2. მუცლის ტკივილის მიზეზების კლასიფიკაცია მუცლის რეგიონების მიხედვით

ეპიგასტრიუმი	
გული	<ul style="list-style-type: none"> • მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი; • პერიკარდიტი.
საყლაპავი, კუჭი, ნაწლავები	<ul style="list-style-type: none"> • ეზოფაგიტი; • გასტრიტი; • კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული; • კუჭის კიბო; • დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარი და მისი გართულებები; • საყლაპავის პერფორაცია (ბურჰავეს სინდრომი); • კარდის ახალაზია.
პანკრეასი	<ul style="list-style-type: none"> • მწვავე პანკრეატიტი; • კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეები.
სხვა მიზეზი	<ul style="list-style-type: none"> • აპენდიციტი (კოხერის სიმპტომი აპენდიციტის დებიუტში). • მცერდის ძვლის მოტეხილობა; • ტიტცეს სინდრომი (ნეკნების ხრტილოვანი ნაწილის დეგენერაციულ-ანთებითი ცალმხრივი დაავადება).
მარჯვენა ფერდქვეშა და ლატერალური მიდამო	
ფილტვები, გულმკერდის ყაფაზი	<ul style="list-style-type: none"> • პნევმონია (ქვედა წილები); • ფილტვის აბსცესი; • პლევრიტი;
პულმონური ემბოლიზმი, გულმკერდის ყაფაზის დაუეყოლები, ნეკნების მოტეხილობა;	<ul style="list-style-type: none"> • გასტრიტი; • კუჭის წყლული; • კუჭის წყლულის პერფორაცია; • კუჭის მწვავე გაგანიერება.
პანკრეასი	<ul style="list-style-type: none"> • მწვავე პანკრეატიტი • პანკრეასის თავის სიმსივნეები.
მარჯვენა თირკმელი	<ul style="list-style-type: none"> • შარდკენჭოვანი დაავადება; • პიელონეფრიტი; • თირკმლის ყვავი.
გული	<ul style="list-style-type: none"> • მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი; • სტენოკარდია; • პერიკარდიტი.
ნაწლავები	<ul style="list-style-type: none"> • აპენდიციტი აპენდიქსის ლვიძქვეშა მდებარეობისას; • განივი კოლინჯის მარჯვენა ნახევრი სიმსივნეები.
ლვიძლი	<ul style="list-style-type: none"> • მწვავე ჰეპატიტი (ნებისმიერი ეტიოლოგიის); • ჰეპატომეგალია (ნებისმიერი ეტიოლოგიის); • სეკესტრული კრიზი სისხლის ლვიძლში დეპონირებით (ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია); • ლვიძლის სიმსივნეები (კეთილ- და ავთვისებიანი);

ცხრილი 2-ის გაგრძელება შემდეგ გვერდზე

ცხრილი 2-ის გაგრძელება (დასაწყისი წინა გვერდზე)

<ul style="list-style-type: none"> • ღვიძლის აბსცესი; • ღვიძლის ტრავმა.
სანაღველე გზები
რეზიუმე | COVID-19-ის სწრაფმა გავრცელებამ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში მკვეთრად გაზარდა სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვა. ეპიდემიის დაწყებიდან საავადმყოფოები იქცა როგორც მკურნალობის, ასევე ვირუსის გავრცელების ეპიცენტრად (1-3). სამედიცინო პერსონალს და პაციენტებს ინფექცია განუვითარდათ კლინიკებში და ამ კონკრეტულმა გარემომებამ განაახლა დებატები: როგორ შეგვიძლია ვიმოქმედოთ სამედიცინო ცენტრების პარადოქსული შიდა საფრთხის გასაკონტროლებლად როგორც პაციენტების, ისე ჯანდაცვის მუშაკებისთვის (4)? COVID-თავისუფალი სივრცე ინოვაციური კონცეფციაა. ამჟამად საავადმყოფო დაყოფილია „კოვიდის“ და „არა-კოვიდ“ სივრცეებად. ე.წ. „არა-კოვიდ“ არეებთან მიმართებაში არსებობს გაურკვევლობა: იქ დაუდგენელია პაციენტების და სამედიცინო პერსონალის ინფიცირების საკითხი, ამიტომაც შეუძლებელია მათი, როგორც „Covid Free“ (covid-თავისუფალი) განხილვა. ჩვენი მიზანია, შევქმნათ სრულიად სუფთა სივრცეები, სახელწოდებით "COVID-თავისუფალი", სადაც დაიშვება მხოლოდ ავტორიზებული პერსონალი (ფილტრის ზონის გავლით) და მხოლოდ პაციენტებისთვის, კარანტინის შემდგომ პერიოდში. შესაბამისად, უნდა მომზადდეს Covid Free საოპერაციო დარბაზები. ყველა ამ სივრცეს უნდა ჰქონდეს საკუთარი და უსაფრთხო ლიფტები და დერეფნები. ტრენინგული ოპერატორები გარანტირებულნი უნდა იყვნენ არიან პაციენტთა იზოლაციით ყველა ეტაპზე. ქირურგიული მოქმედებების გაგრძელება აუცილებელია მიმდინარე პანდემიის დროსაც კი. Covid-19-ის პანდემიის დროს, მკაფიო ქირურგიული სტრატეგიის დამკვიდრება ხელს შეუწყობს სანიტარული სისტემის მდგრადობის ზრდას და იქნება მაღალი ხარისხის მკურნალობის გარანტია სამედიცინო მომსახურების პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, კოვიდ და არა-კოვიდ სივრცეები, COVID-თავისუფალი, Covid-free კვლევა

PRIMARY LEIOMYOSARCOMA OF THE BONE (CASE REPORT)

Mikheil Zimlitski, George Zimlitski, Grigol Bregadze, George Loria

Department of orthopedics, MediClubGeorgia, Tbilisi, Georgia

Contact person: George Loria, gio.loria@yahoo.com

Resume | The paper presents a rare clinical case of bone leiomyosarcoma (musculoskeletal system malignant neoplasm) surgical treatment performed by a group of authors. Described is a contemporary method of surgical treatment (reconstruction of the proximal tibia with onco prosthesis) of this lesion with its complications and outcomes. It describes the correct management of this disease and the need of multidisciplinary approach.

Key words: leiomyosarcoma, malignant bone tumor, chemotherapy

INTRODUCTION


Leiomyosarcoma of bone is a very rare primary malignant bone tumor affecting a predominantly older population, accounting for <0.7% of all primary malignant bone tumor. They were first described in 1965 by Evans and Sanerkin [1] in the proximal tibia of a 73-year-old man and have since been slowly accepted in published data as a unique classification described in the literature by series of small case studies. Little is known about the biology and clinical behavior of bone LMS due to its extreme rarity. No data are available about chemotherapy in neoadjuvant, adjuvant, or advanced settings. Surgery with a curative intent is the cornerstone of treatment of localized disease. Further research is needed to identify more effective therapies.

CASE REPORT


Patient 67 year old woman. Complains of progressive pain and restriction of motion in her right knee for 9 months. His past medical history was positive for diabetes mellitus treated with oral hypoglycemic agents. There was no history of smoking or alcohol consumption. On x-ray the solitary osteolytic lesion with focal cortical destruction in the right proximal tibia. The formation gradually increased in size with a worsening of the pain. A subsequent MRI scan of the right tibia showed the presence of osteolytic lesions with a focal cortical destruction possibly correlated to pathologic fracture. The lesion was located predominantly in the medullary cavity and presented a soft tissue extension from the bone with indistinct tumor margins. The patient could not weight bear on the right lower extremity and had a severe Varus deformity.

The patient was evaluated at our Institute by an Multidisciplinary Team, composed of an orthopedist, an oncologist, a radiologist, a pathologist. The morphology and immunohistochemistry studies revealed the primary

leiomyosarcoma of the bone. The biopsy was performed on the line of future surgical incision, which revealed the presence of spindle cells with positive reaction for SMA and desmin at immunohistochemical analysis, without the



Picture 1. X-ray the solitary osteolytic lesion with focal cortical destruction in the right proximal tibia



Picture 2. MRI scan of the right tibia

presence of cartilage or bone matrix. These results were consistent with a high-grade malignant LMS arising from the bone. The multidisciplinary team reviewed the patient clinical condition, the radiographic imaging, and the results of the biopsy, suggesting surgery of the bone LMS. Subsequently, the patient underwent surgery for removing the bone lesion and reconstruction of the proximal tibia with modular silver coated proximal tibia prosthesis.

After Adequate preoperative planning surgical team decided the length and extent of resection (the maximum

tumor dimensions may be either intramedullary, periosteal or in terms of the associated soft tissue component). Both, the magnetic resonance imaging (MRI) and the plain radiograph were carefully evaluated. A 2-3 cm marrow margin as calculated on the T1-weighted MRI image was considered an adequate resection margin.

The antero medial surgical approach was performed for easier access to the popliteal vessels, fibula and medial gastrocnemius muscle. The biopsy tract was removed with skin and specimen to avoid local recurrences. The patellar tendon was sectioned proximal to its attachment on the tibia during resection. The popliteus muscle remains on the specimen due to oncologic margins. The vascular bundle was dissected and distal perfusion was controlled during whole surgery to avoid vascular complications. The tibio fibular joint was free from tumor so fibular resection was not performed. Prior to this the lateral popliteal nerve was carefully dissected free to prevent injury to it.


We use elective medial gastrocnemius flap in proximal tibial resections. The flap is preferably dissected out after resecting the proximal tibia but prior to implanting the prosthesis. This is technically easier than after the prosthesis is implanted. Care must be taken not to carry the dissection too far proximally to avoid injury to the vascular pedicle of the medial gastrocnemius muscle (the medial sural artery, the main pedicle of the medial gastrocnemius muscle, arises off the popliteal artery 1-2 cm below the joint line). The muscle flap is brought forward anteriorly to cover the prosthesis. It serves the dual purpose of providing a layer of muscle cover to the subcutaneous prosthesis and also providing a biological anchorage to the patellar tendon which is sutured to it with absorbable sutures. In certain situations where excess skin may need to be excised at the time of resection (because of an improper biopsy), the gastrocnemius muscle flap also serves as a good



Picture 3. The antero medial surgical approach



Picture 4. The stage of mobilization and excision



Picture 5. The stage of mobilization and excision



Picture 6. Excised bone tumor

bed for a split thickness graft if primary skin closure is not possible. In current case there was no need to use skin flap, the wound was closed with primary sutures. Postoperative care was similar as the primary knee replacement. No prolonged antibiotics were used. Patient received low molecular heparin for 5 weeks and the Brace in full extension was used for 6 weeks to allow the patella tendon healing to the gastrocnemius flap. After 6 weeks the knee flexion was started by CPM machine. No local recurrence on 9 months postoperatively.

DISCUSSION:

Bone lesions are primary diagnosed by X-ray. The most common symptoms are pain, swelling, and, occasionally, a palpable mass. The bone tumors have a predilection to age and location. In about 15% of cases, patients present with a pathological fracture. In elder patients >50 years the most common bone tumors are: Multiple myeloma, Metastasis, Chondrosarcoma. Major differential diagnoses

of the leiomyosarcoma of bone are metastatic carcinoma of unknown primary origin, lymphoma, and osteosclerotic myeloma. It is important to differentiate between leiomyoma and leiomyosarcoma especially when a previous history of benign leiomyoma exists [10] so the the bone biopsy and tumor grading is mandatory. Adelani et al., (2009) [1] found the median age affected to be 47 years, with a range from 9 to 87 years, while the median age in our series was 46, ranging from 9 to 88 years. Generally, it is felt that there is an equal distribution between the sexes for primary leiomyosarcomas [2, 5, 6] Many of the case series published have reflected a poor prognosis, although no one has successfully stratified the risk according to stage/grade. Antonescu et al. produced the largest series to our knowledge [2], presenting 33 patients with primary leiomyosarcoma between 1977 and 1996. They had an average follow-up period of 30 months and found no significant differences in disease free of overall survival rates between low- and high-grade tumors. In that series, only 21% had neoadjuvant chemotherapy, and there was no clear difference in survival between those treated with chemotherapy and those without. More recently, Rekhi et al. [8] presented a series of 8 cases, none of whom had chemotherapy. All the patients went on to develop metastases within 12 months following the original diagnosis leading the authors to conclude that it was a dismal condition to have. The most important prognostic factors associated with a decrease in survival were age >40 years, size >8cm, the presence of a pathological fracture, amputation, involved margins, and a poor response to preoperative chemotherapy.[7, 11]



Picture 7. მიღებული მასალა ჰისტომორფოლოგიური კვლევისთვის

CONCLUSION:


Clinical features of primary bone LMS and relevant prognostic factors are not well defined due to the few available data obtained mostly from retrospective analy-




Picture 8. Stages of prosthesis implantation



Picture 10. Completion of surgery



Picture 9. Stages of prosthesis implantation




Picture 11. Completion of surgery

ses, case reports, and small case series. Surgical excision with wide margins remains the gold standard for curative management, amputation usually being reserved for tumors surrounding the neurovascular bundle, or with extensive soft tissue involvement. The role of adjuvant and neo-adjuvant treatments in localized primary bone LMS and their effect on a long-term prognosis is still unclear.

Due to the rarity of this disease, treatment of bone LMS remains highly personalized. [3] Brewer et al. have shown that prognosis is based on the stage of diagnosis; with Enneking stages 1b or 2a cases achieving 100% survival, stage 2b tumours having a 60% survival at 5 years and 43% survival at 10 and 15 years.

References:

1. M. A. Adelani, S. J. Schultenover, G. E. Holt, and J. M. M. Cates, "Primary leiomyosarcoma of extragnathic bone: clinicopathologic features and reevaluation of prognosis," *Archives of Pathology and Laboratory Medicine*, vol. 133, no. 9, pp. 1448–1456, 2009. [View at Google Scholar](#) · [View at Scopus](#)
2. C. R. Antonescu, R. A. Erlandson, and A. G. Huvos, "Primary leiomyosarcoma of bone: a clinicopathologic, immunohistochemical, and ultrastructural study of 33 patients and a literature review," *American Journal of Surgical Pathology*, vol. 21, no. 11, pp. 1281–1294, 1997. [View at Publisher](#) · [View at Google Scholar](#) · [View at Scopus](#)
3. Brewer P, Sumathi V, Grimer RJ, Carter SR, Tillman RM, Abudu A, et al. Primary leiomyosarcoma of bone: analysis of prognosis. *Sarcoma*. 2012;2012:636849. doi: 10.1155/2012/636849. [PubMed: 22550421]
4. Evans DM, Sanerkin NG. Primary leiomyosarcoma of bone. *J Pathol Bacteriol*. 1965;90(1):348-50. [PubMed: 5843955]



Picture 12. Control X-ray

5. T. Goto, T. Ishida, N. Motoi et al., "Primary leiomyosarcoma of the femur," *Journal of Orthopaedic Science*, vol. 7, no. 2, pp. 267–273, 2002. [View at Publisher](#) · [View at Google Scholar](#) · [View at PubMed](#) · [View at Scopus](#)
6. S. Hannachi, R. Khattech, R. Dhoubib et al., "[Primary bone leiomyosarcoma. Anatomico-clinical, immunohistochemical, and ultrastructural study]," *Revue de Chirurgie Orthopedique et Reparatrice de l'Appareil Moteur*, vol. 85, no. 8, pp. 865–870, 1999. [View at Google Scholar](#)
7. Pakos EE, Grimer RJ, Peake D, et al. The 'other' bone sarcomas: prognostic factors and outcomes of spindle cell sarcomas of bone. *J Bone Joint Surg Br* 2011;93:1271–8. [[PubMed](#)] [[Google Scholar](#)]
8. B. Rekhi, A. Kaur, A. Puri, S. Desai, and N. A. Jambhekar, "Primary leiomyosarcoma of bone—a clinicopathologic study of 8 uncommon cases with immunohistochemical analysis and clinical outcomes," *Annals of Diagnostic Pathology*, vol. 15, no. 3, pp. 147–156, 2011. [View at Publisher](#) · [View at Google Scholar](#) · [View at PubMed](#)
9. Stout AP, Lattes R. *Tumors of the Soft Tissues. Atlas of Tumor Pathology, Second Series, Fascicle 1*. Washington, DC: Armed Forces Institute of Pathology; 1967. [[Google Scholar](#)]
10. Yang Y, Ma L, Li L, Liu H. Primary leiomyosarcoma of the spine: A case report and literature review. *Medicine (Baltimore)*. 2017;96(9). e6227. doi: 10.1097/MD.0000000000006227. [[PubMed: 28248883](#)].

ძვლის პირველადი ლეიომიოსარკომა (უმეტხვევის ალფრია)

მიხეილ ზიმლიცკი, გიორგი ზიმლიცკი, გრიგოლ ბრეგაძე, გიორგი ლორია

ორთოპედის დეპარტამენტი, მედიკლაბჯორჯია, თბილისი, საქართველო

პასუხისმგებელი პირი: გიორგი ლორია, gio.loria@yahoo.com

რეზიუმე ავტორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილია ლეიომიოსარკომის (ძვალ სახსროვანი სისტემის ავთვისებიანი სიმსივნე) ძალზედ იშვიათი ოპერაციული მკურნალობის შემთხვევა. სტატიკაში აღწერილია პათოლოგიის ოპერაციული მკურნალობის თანამედროვე მეთოდი - წვივის პროქსიმალური სეგმენტის ონკოპროთეზირება, თანამედვი სირთულეებითა და გამოსავლით. აღწერილია ამ დაავადების სწორი მენეჯმენტი და მულტიდისციპლინური მიდგომის აუცილებლობები.

საკვანძო სიტყვები: ლეიომიოსარკომა, ძვლის სიმსივნე, ქიმიოთერაპია

„პირით-პირში“ ორმაგად ინვაზინირებული პანკრეატო-იეიუნოანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით

მერაბ კილაძე¹, მალხაზ მიზანდარი², ოთარ კეპულაძე³

¹ თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

² თსსუ პროფესორი, კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალს“-ის დიაგნოსტიკური და რადიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ³ კლინიკა „კარაპს მედლაინი“, ზოგადი ქირურგია.

პასუხისმგებელი პირი: მერაბ კილაძე, kiladzemerabi@gmail.com

საკვანძო სიტყვები: პანკრეატო-იეიუნოანასტომოზი, პანკრეატოდუდენალური რეზექცია, გარეთა დრენირება

პანკრეატო-იეიუნოანასტომოზის ფორმირების მეთოდი

პანკრეატოდუდენალური რეზექცია დღევანდელ დღემდე რჩება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველაზე რთულ, ინვაზიურ და მძიმე ოპერაციულ ჩარევად, რომელიც ხასიათდება პოსტოპერაციული გართულებების და ლეტალობის მაღალი მაჩვენებლებით, რაც შესაბამისად შეადგენს 40-50% და საშუალოდ 5% საუკეთესო შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, პანკრეასის თავის და პერიამპულარული ზონის ავთვისებიანი რეზექტაბელური სიმსივნეების დროს ეს ოპერაცია რჩება არჩევის მეთოდად და მიიჩნევა, რომ ის იძლევა მკურნალობის და განკურნების ერთადერთ და საუკეთესო შანსს. მიუხედავად მოწოდებული მრავალი ფარმაკოლოგიური და ტექნიკური მეთოდისა ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა (10-30%), რომელიც როგორც წესი ვითარდება პანკრეასის ანასტომოზის ნაკერების უკმარისობის და სხვადასხვა ტექნიკური პრობლემების შემდეგ.

წარმოებული პანკრეატოდუდენალური რეზექციის შემდეგ იწყება რეკონსტრუქციის ეტაპი, რომელიც გულისხმობს შემდეგი ანასტომოზების: პანკრეატო-იეიუნოსტომიის, ჰეპატოკოიუნოსტომიის და დუოდენო - ან გასტროიეუნოსტომიის ფორმირებას. ოპერაციული ჩარევის მსვლელობისას ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მომენტი არის პანკრეატოიეუნოსტომიის ფორმირება, რომელიც წარმოადგენს ოპერაციის „აქტილესის ქუსლს“ და რომელიც მოიცავს გადაკვეთილი მლივი ნაწლავის და კუჭუკანა ჯირკვლის ტაკვს შორის ორმაგად ინვაზინირებული ანასტომოზის ფორმირებას ტრანსპანკრეასული ნაკერების დადებით და ტრანსანასტომოზური სტენტის გატარებით, რომელიც ოპერაციის შემდგომ პერიოდში ასრულებს პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირების ფუნქციას.

მეთოდის აღწერილობა

გამოგონება განეკუთვნება მედიცინის დარგს, კერძოდ კი, ქირურგიას და მიზანშეწონილია მისი გამოყენება

ჰეპატო-პანკრეატო-ბილიარულ ზონაში წარმოებული ოპერაციების დროს.

გამოგონების მიზანს წარმოადგენს პანკრეატო-იეიუნოანასტომოზის ნაკერების უკმარისობის და მასთან დაკავშირებული გართულებათა რიცხვის შემცირება და პროფილაქტიკა.

ცნობილია და მოწოდებულია პანკრეატო-იეიუნოანასტომოზის ფორმირების 80 მეტი სხვადასხვა მეთოდიკა და მოდიფიკაცია, რაც მიუთითებს პრობლემის სირთულეზე და აქტუალობაზე და ასევე სათანადო „ოქროს სტანდარტის“ არარსებობაზე. დღესდღეობით ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდიკები: სადინარი-ლორწოვანთან და ინვაზინირებული პანკრეატოიეიუნო-და პანკრეატოიეიუნოანასტომოზების წარმოება „პირით-პირში“ და „პირი-გვერდში“ ფორმირებით.


გამოგონების არსი არის ის, რომ აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელია პანკრეატო-იეიუნოანასტომოზის ორმაგი საიმედო ინვაზინირება ტრანსანასტომოზური სტენტირებით პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით.

წარმოდგენილი პანკრეატოიეიუნოანასტომოზის ფორმირება, რომელიც წარმოდგენილია სურათი 1-4, ხორციელდება შემდეგნაირად:


პანკრეასის ტაკვის და მლივი ნაწლავის პროქსიმალური ნაწილის სათანადო მობილიზების შემდეგ (როგორც წესი 4-5 სმ მანძილზე) და პანკრეასის სადინრის სანათურიდან სადრენაჟე მილის ნაწლავის სანათურში (ტრანსანასტომოზურად) გადატარების შემდეგ ხორციელდება 1 ინვაზინაცია 3/0 ატრავმული გაწოვადი ძაფით ნემსის მარჯვენა გვერდიდან პირველი ნაკერის „გარედან შიგნით“ გატარებით გადაკვეთილი ნაწლავის კიდიდან 2 სმ მოშორებით. შემდეგ ვახორციელებთ ტრანსპანკრეასულად „წ“-მაგვარი ნაკერის დადებას პანკრეასის ანალოგიურ გვერდით მხარეზე ასევე გადაკვეთილი კიდიდან 2 სმ მოშორებით და ნემსის დაბლუნებით და გატარებით ნაწლავის სანათურიდან გარეთ პირველი ჩხვლეტის გვერდით. ანალოგიურ პროცედურას ვატარებთ მარცხენა გვერდით მხარეზეც (სურათი 1).




სურათი 1. (I) ინვაგინაციის ნაკერების გატარების სქემატური გამოსახულება



სურათი 2. (I) ინვაგინაციის დასრულებული სახე



სურათი 3. (II) ინვაგინაციის ნაკერების გატარების სქემატური გამოსახულება



სურათი 4. (II) ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოეუნანასტომოზის დასრულებული სახე

აღნიშნული ნაკერების ერთდროული მოჭიმვის შემდეგ პანკრეასის ტაკვი ადვილად ჩაცურდება ნაწლავის სანათურში და ძაფების გაკვანძის შემდეგ ხდება კუჭუკანა ჯირკვლის ქსოვილის და ნაწლავის კედელს შორის ერთმანეთთან კარგი ფიქსაცია და ადაპტაცია. ამის შედეგად პანკრეასის ტაკვი ინვაგინირებულია (ჩაყურსულია) ნაწლავის სანათურში დააახლოებით 4 სმ მანძილზე (სურათი 2).

ინვაგინაციის II ეტაპისთვის ნაწლავის კიდიდან 1 სმ მოშორებით ასევე ორივე გვერდზე და შუაში (წინა და უკანა ზედაპირზე) ვადებთ 4 „ს“-მაგვარ ნაკერებს ტრანსპანკრეასული გატარებით, რომელთა გაკვანძის და ნაწლავის კედლის ჩაბრუნების შემდეგ ვღებულობთ 1 სმ კუნთოვან-სეროზულ მანუეტს, რომელიც ცირკუ-

ლარულად სეროზული გარსით მჭიდროდ და მტკიცედ ეკვრის პანკრეასის ქსოვილს (სურათი 3-4).

ამრიგად, წარმოდგენილი ანასტომოზი არის ორმაგად ინვაგინირებულ „პირით პირში“ ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით წარმოებული პანკრეატოეუნანასტომოზი, რომელსაც გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- არის მარტივი წარმოებისთვის
- არის ჰერმეტიული და შესაბამისად უსაფრთხო
- მისი წარმოებისთვის საჭიროა დროის მცირე მონაკვეთი (10-12 წთ.)
- შეიძლება გამოყენება პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში
- ხასიათდება ქსოვილების მინიმალური ტრავმატიზაციით (სულ 6 ნაკერი და 1 შრე)

- უზრუნველყოფილია პანკრეასის წველის თავისუფალი პასაჟი

გამოგონების პრაქტიკული შედეგია ანასტომოზის ტექნიკური პროცესის გამარტივება, მისი წარმოებისთვის დროის შემცირება და ანასტომოზის საიმედოობის გაზრდა. ასევე დადებითი შედეგია ის, რომ გამოიყენება ნაკერების (სულ 6 ნაკერი) და შრეების (1 შრე) მინიმალური რაოდენობა, ხორციელდება შრეების კარ-

გი ადაპტაცია და შესაბამისად ანასტომოზის კარგი პერმეტულობა და ასევე უზრუნველყოფილია პანკრეასის წველის თავისუფალი პასაჟი ტრანსანასტომოზური სტენტის მეშვეობით, რომლის ჩაყენება ხდება პანკრეასის სადინარში პერკუტანურად ოპერაციის წინა პერიოდში.


მეთოდი აპრობირებულია კლინიკურ პრაქტიკაში და რეკომენდებულია მისი ფართო გამოყენება ჰეპატო-პანკრეატო-ბილიარულ ზონაში ოპერაციების დროს.

2019 წლის 21-23 ოქტომბერს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში გაიმართა გლობალური კონფერენცია — „ქირურგია და ანესთეზია“. კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა პროფესორი მერაბ კილაძე. ნაშრომმა მიიღო საუკეთესო შეფასებები, რომელთა ნაწილსაც აქვე წარმოგიდგენთ.

HELIOS Klinikum Berlin-Buch

The authors of this paper show a very interesting and innovative concept to reduce leakage rate by draining the pancreatic duct externally, thus avoiding contact of the aggressive secretion. So, even in the situation of a minor leakage, the aggressive enzymes do not endanger the anastomosis. The authors evaluated the data very systematically and show a successful implementation of this technique in their operative routine with very promising results.

Taking in considerations the many variations to perform an anastomosis, this seems to be a very good adoption to improve outcome in pancreatic surgery. To publish these data is a great contribution to the surgical community.


Prof. Dr. Martin Strik
Chair of Surgery



პროფესორი აკაკი ბერიძე

80

იუბილე



ჩემი მეგობარი - აკაკი ბერიძე

როგორ უნდა ვისაუბრო ადამიანზე, რომელთანაც ყოველდღიური მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები მაქვს და ეს ურთიერთობა მგონი მთელი 80 წლის მანძილზე გრძელდება.

აკაკის ღირსეული წინაპრები ჰყავდა. დიდზე დიდმა ბაბუამ ლომან-ეფენდი ქარცივაძემ განათლება სტამბოლში მიიღო, იქვე დარჩა, გახდა პროფესორი და თვითნაბადი ნიჭის წყალობით სულთნის კარზე მრჩევლის და მასწავლებლის მოვალეობასაც ასრულებდა. ყველაფრით უზრუნველყოფილმა სწავლულმა, განსაცდელში მყოფ სამშობლოს მოაშურა, ათეულ ათასობით მუჰაჯირი უკან მოაბრუნა და თავადაც საქართველოში დარჩა.

აკაკის მეორე დიდი ბაბუა ზემო აჭარის მოსამართლე, გაჭირვებულთა გამკითხავი და სამართლიანობისთვის მებრძოლი ნური ბერიძე, ასევე წიგნიერი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ.

აკაკის ბაბუა ნურსედინ ბერიძე ჭეშმარიტი სახალხო მოღვაწე მამაჩემთან ერთად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, ისინი მეგობრობდნენ კიდეც; სწორედ მამისგან გავიგე ამ ოჯახის სასიკეთო საქმეებში და აქედან მოდის ჩვენი ახლობლობაც.

აკაკის მამა ზემო აჭარაში კავშირგაბმულობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მზრუნველი ჩემთან ერთად ეწეოდა ახლადგახსნილი შუახევის რაიონის განვითარების საქმეს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა აკაკი. როგორც უნიჭიერესი მოსწავლე, ნაკითხი, მეოცნებე, მრავალმხრივ

განვითარებული ახალგაზრდა. იგი მედიცინის მწვერვალებს არათუ დაეუფლა, მან ეს დარგი თავდავიწყებით შეიყვარა, საკუთარი წვლილი შეიტანა მის სამეცნიერო საგანძურში, გაიჩინა მაღლიერ პაციენტთა დიდი არმია, რომელსაც ასევე თავდავიწყებით უყვართ და პატივს სცემენ თავის მკურნალს, ოქროსხელება დასტაქარს და გადამრჩენელს.

შემთხვევით არაა, რომ მასზე, როგორც მთავარ ქირურგზე, არჩევანი გააკეთეს ამ დარგში დიდი ტრადიციების მქონე მხარეში.

სამოქალაქო მედიცინის ჩასახვისთანავე აჭარას (მაშინდელ ბათუმის ოლქს) საუკეთესო ქირურგები დაებედა. აქ მოღვაწეობდნენ: კონდრატე მხეიძე, ბესარიონ ფროლოვი, ვალერიან მაქაცარიას, ვარლამ გიორგაძე, ავნი დიასამიძე, დიოდოტ ხარიტიდი... როცა ავადმყოფის გადარჩენაზე მიდგებოდა საქმე, ხშირად გაიგონებდით ხოლმე: „მაქაცარიასთან მყავდა,“ „გიორგაძემ გააკეთა ოპერაცია,“ „ხარიტიდთან წავიყვანე,“ „ავნიმ გადაარჩინა“ და ა.შ. ყველა მათგანი ვირტუოზულად ფლობდა დასტაქარის ხელოვნებას და სწორედ ამით გაითქვეს სახელი მთელს დასავლეთ საქართველოში, მათს ავტორიტეტს ბევრი რამ შემატა წინამორბედი ქირურგების დაფასებამ, პატივით მოხსენიებამ და მათი სახელის დიდებით შემოსვამ.

ჩემთვის საამაყოა, რომ ვალერიან მაქაცარიადან მოყოლებული, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ქირურგთა ყველა თაობას და მათ წინამძღოლებს ვიცნობდი, მქონდა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები.

გამორჩეული ადგილი აკავი ბერიძემ დაიკავა, რომელთანაც საქმიანი კავშირი მეგობრობაში გადაიზარდა. 1975 წელი იყო, როცა ქართული ქირურგიის მაშინდელმა მამამთავარმა, მ.კომახიძემ დაძლია ყოველგვარი შინაური და გარე ზემოქმედებები და ავნი დიასამიძის გარდაცვალების შემდეგ, აჭარაში პირველ ქირურგად რეკომენდაცია სწორედ აკაკი ბერიძეს გაუწია. მე მაშინ საკურორტო სფეროს განვაგებდი, მაგრამ ბატონმა მამამ სატელეფონო საუბრის დროს მთხოვა მხარი დამეჭირა მისი კანდიდატურისთვის. უარს როგორ ვიტყოდი, რადგანაც ვიცნობდი კაკოს, როგორც შუახნის რაიონის მთავარ ექიმს, უკვე საკმაო სახელის მქონე ქირურგსა და ოპერატორს.

ორი წლის შემდეგ ჩვენი გზებიც შეიყარა, მე სათავეში აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ჩავუდექი, რაშიც დიდი როლი ჩვენმა საერთო მეგობარმა, აჭარის მაშინდელმა ლიდერმა ვახტანგ პაპუნძიმ შეასრულა. კაკო მთავარი ქირურგი და კოლეგიის წევრი გახდა, მაგრამ ეს არ მომხდარა მხოლოდ ჩვენი პირადი ურთიერთობებით. ამ დროს მოსახლეობა კვლავინდებურად და იმედიანად ამბობდა: „თუ დამეჭირდა ავადმყოფს კაკოსთან მივიყვან და ის გადამირჩენს.“ ამაზე კარგ რეკომენდაციას მინისტრი ვერავისგან მიიღებდა.

წარსულში შექმნილი ტრადიცია ახალი სულის შთაბერვას, თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ფორმითა და შინაარსით განახლებას საჭიროებდა. ეს კარგად ესმოდა მთავარ ქირურგს; ამოქმედდა ნაცნობებისა და დაუსწრებლად გაცნობილთა წრე მთელს საბჭოთა კავშირში. დღე არ გავიდოდა, რომ ახალი მეთოდის დანერგვაზე და ახალი სპეციალისტის ჩამოყვანაზე არ

გვემსჯელა. სიახლეებზე დახარბებულები ვჩქარობდით, თითქმის არავის მიღებაზე უარს არ ვამბობდით. ასეთ დროს შესაძლოა, შემთხვევითი პირიც შემოგეპაროს და სანანებელი გაგიხდეს, მაგრამ ჩვენი იმედები ყველა სპეციალისტმა გაამართლა და დღეს თუ აჭარის მედიცინა ქვეყანაში არავის ჩამორჩება, ეს იმდროინდელმა გაბედულმა და ზოგჯერ რისკის მქონე გადაწყვეტილებებმაც განაპირობა.

ადგილი არ იყო ქალაქის პირველ საავადმყოფოში, 30 წლის წინათ გახსნილი და დიდებული სპეციალისტებით დაკომპლექტებული თერაპიული განყოფილების დახურვა და მის ნაცვლად ტრავმატოლოგიური და ნეიროქირურგიული განყოფილებების, აგრეთვე სადღელამისო ტრავმატუნქტის გახსნა. ტრავმატოლოგიური განყოფილება გაიხსნა ქობულეთშიც. რესპუბლიკურ საავადმყოფოს შეემატა პროქტოლოგიური და რენანიმაციის განყოფილებები, ენდოსკოპიური, ჰემოდიალიზის ცენტრები, პირველ საავადმყოფოს - რეფლექსოთერაპიის კაბინეტი, მესამე საავადმყოფოს - სისხლძარღვთა ქირურგიის, ტუბერკულოზურ საავადმყოფოს - გულმკერდის ქირურგიის განყოფილებები.

აღარაფერს ვამბობ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალ მეთოდებზე, რაც უშუალოდ უკავშირდება აკაკი ბერიძის სახელს და რამაც აჭარის ქირურგიას სრულიად ახალი შინაარსი შესძინა.

ალბათ, ასაკობრივმა განსხვავებამაც განაპირობა: შუახნის რაიონის სამედიცინო სამსახურს ჯერ მე ვხელმძღვანელობდი, რამდენიმე წლის შემდეგ ეს მოვალეობა კაკოს დაეკისრა, სამინისტროშიც ის მოვიდა ხელმძღვანელად, თანაც ისეთ დროს, როცა ქვეყანა განვითარების ახალ, საზაზრო ეკონომიკის რელსებზე გადიოდა. დაიწყო რეფორმები, რაც ძალზე მტკივნეულად წარიმართა, რადგანაც მან დიდი დარტყმა მიაყენა მოსახლეობას - სამედიცინო დახმარება ფასიანი გახდა. ჯანდაცვის ხელმძღვანელთათვის ეს იყო ურთულესი პერიოდი. აკაკი ბერიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო მთელი სამედიცინო კოლექტივის დარაზმვა და მოსახლეობის წინაშე წამოჭრილი სიძნელეების მაქსიმალურად შემსუბუქება.

თავისი წინამორბედების მიერ დანერგილი ტრადიციებიდან ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო ახალგაზრდა კადრების შერჩევა, დაოსტატება და დაწინაურება. მათ აკაკი თვითონ კარნახობდა მომავალ სამეცნიერო შრომას, ეხმარებოდა კლინიკური და ლიტერატურული მასალების შეგროვებაში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობასა და შრომების გამოქვეყნებაში. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ქირურგი დაოსტატდა, მრავალმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, მრავალს გაეხსნა სამეცნიერო საქმიანობის გაფართოების ასპარეზი, ჩატარდა არაერთი საერთაშორისო, რესპუბლიკურთშორისი და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები.

ნოვატორი დასტაქარი ახლაც ახალგაზრდულად ეჭიდება მედიცინის რთულ საქმეს და არცაა გასაკვირი, რომ ბოლო 45 წელი აჭარის ქირურგია აკაკი ბერიძის სახელთანაა გაიგივებული.

ალბათ განგებამ ასე ინება და ამ ასაკშიც ჩვენ ერთმანეთს ველარ ვშორდებით, ვცდილობთ კვლავ

გამოვანახოთ საერთო, ხალხისთვის სასარგებლო საქმე. აკაკი განაგრძობს თავის პროფესიულ წინსვლას, მეც ხშირად ვსაჭიროებ მკურნალის ხელს, მადლობა ღმერთს ოპერაცია არ მჭირდება, მაგრამ ყველა უნდომობაზე კაკოს ვაწუხებ და მისი მეშვეობით ვდგები საიმედო გზაზე.

საერთო საქმე ხანდაზმულობაშიც გამოვანახეთ. აჭარის ექიმთა საზოგადოებას, რომელიც თავისი დაარსების 123 წელს ითვლის, ნიჰილიზმმა შეახო მსახვრალი ხელი, ბოლო ათი წლის მანძილზე შეაჩერა არსებობა.

ჩვენ შემოვივრიბედ ახალგაზრდა, საკმაოდ ცნობილი აქტივისტები და დღეს აჭარის ექიმთა გაერთიანებული სამეცნიერო საზოგადოება მთელი ენერჯით განაგრძობს მრავალფეროვან საქმიანობას. თქვენი მონა-მორჩილი ამ საზოგადოების თავმჯდომარეა, ხოლო თანათავმჯდომარეობის საპატიო მოვალეობას აკაკი ბერიძე ასრულებს. ჩვენს ტანდემს, შეთანხმებულ საქმიანობას სარგებელი მოაქვს ჩვენი ექიმების და პაციენტებისთვის.

*რამაზ სურმანიძე
12 ნოემბერი, 2019 წ.*

ქირურგი, მეცნიერი, ორგანიზატორი...კაკი!

როცა აკაკი ბერიძეზე რაღაცის თქმა დავაპირე, სიტყვა რამდენჯერმე დავეწერე და გადავეწერე. არც ერთი არ მომეწონა და ყველა დავხიე: ძნელი ყოფილა ღირსეულ კაცზე შესაფერისი სიტყვის თქმა. არც ეს მომწონს, მაგრამ რა ვქნა, უკეთესი მე ვერ მოვიფიქრე.

ბატონი აკაკის და ჩემი ნაცნობობა ნახევარ საუკუნეს ითვლის და იმ დროიდან იწყება, როცა მე, მეხუთე კურსის სტუდენტმა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ფეხი შევდგი. იმ დროს ამ კათედრაზე 7 პროფესორი, 2 დოცენტი, 10 მმდ, 11 მმკ (რომელთაგან სამს სადოქტორო დისერტაცია მზად ჰქონდა და დაცვის რიგს ელოდებოდა) მოღვაწეობდა! ახალგაზრდობას ხომ ნუ იტყვი! ისეთმა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მოიარეს თავი, რომ... მაგრამ წერილ არს: „მრავალ არიან რჩეულნი, ცოტანი გამორჩეულნი“. ასეთი გამორჩეული იყო თავისი თავმდაბლობით, ნიჭით, ინტელექტითა და შრომისმოყვარეობით ბატონი კაკო. სწორედ ამიტომ მან უმაღვე დაიმსახურა ჩვენი სიყვარული და პატივცემა და

ჩვენთვის მისაბამ პიროვნებად იქცა. ასპირანტურაში სწავლის პერიოდშივე დაასრულა საკანდიდატო დისერტაცია და მალე მმკ-ის სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა.

სულ მალე ახალგაზრდა ქირურგი დიდი გამოწვევის წინაშე დადგა: ამ კუთხის საამაყო შვილმა, ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა მამია კომახიძემ მოაზროვნე და ხელმადლიანი ქირურგის ავნი დიასამიძის გარდაცვალების შემდეგ, ამ ადგილზე აკაკი ბერიძე წარადგინა!

აკაკი ბერიძე ფუტკარივით შრომობდა, დიდი პროფესიული, ორგანიზატორული და სამეცნიერო ნიჭი გამოავლინა და აჭარაში ის სახელი დაიმკვიდრა, რაც სულკურთხეულმა გრიგოლ მუხაძემ ქართულ ქირურგიაში, დიას, კაკო ბერიძე აჭარის გრიგოლ მუხაძეა!

სხვაა? სხვას ჩემზე უკეთ მისი თანატოლი კოლეგები და მოსწავლეები იტყვიან, მე კი დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ჩვენი სასიქადულო ფრიდონ ხალვაშის სტრიქონებით მივულოცავ:

რის სიბერე, შუბლი გახსენ, გულს დარდი არ დაანახო,
სიჭაბუკე იალაღზე გაგიშვია საბალახოდ,
ჰგავხარ მწიფე შემოდგომას, გული ტაბლად გაგიშლია,
წლები დასახარჯავი გაქვს, ჯერ სიბერე რას მირქვია!

*როსტომ ცხვედიანი, ქირურგი.
2019 წლის გიორგობისთვის 14.*



პროფესორ მერაბ კილაძის გახსენება

ხსოვნა

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მაღლიერი სამედიცინო ინტელიგენცია, სამეგობრო, სანათესაო და ოჯახი ღრმა გულისტკივილით გამოეთხოვა ჩვენი დროის რჩეულ მამულიშვილს, ლაპაროსკოპული ქირურგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს პროფესორ მერაბ კილაძეს.

მერაბ მიხეილის ძე კილაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახლმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, დაიბადა 1959 წ. 2 ივნისს ქ. ჭიათურაში.

ქ. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1977-1984 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1985 წელს იწყება მერაბ კილაძის საექიმო მოღვაწეობა – ინიშნება ჭიათურის საავადმყოფოს ქირურგიის თანამდებობაზე, სადაც სამი წლის განმავლობაში უდიდესი გამოცდილება მიიღო გამოჩენილი ქართველი დასაქვარის, ბატონი გოგი კვიციანი ხელმძღვანელობით.

1988 – 1990 წწ. კ.ერისთავის სახ. თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიარა კლინიკური ორდინატურის ორწლიანი კურსი ზოგად ქირურგიაში.

1991 წლიდან მისი საექიმო და სამეცნიერო აქტივობა უკავშირდება ქ. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს თორაკო-აბდომინურ განყოფილებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი ქირურგი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ზურაბ ცხაკაია.

1994 წ. მერაბმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე „ექსტრაკორპორული დეტოქსიკაცია და იმუნოკორექცია ბილიარული სისტემის ჩირქოვან-სეპტიური დაავადების კომპლექსურ მკურნალობაში“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს დანიშნულ იქნა საქართველოს სამედიცინო აკადემიის თორაკო-აბდომინური ქირურგიის კათედრის ასისტენტად.

ამ ეტაპზე მერაბ კილაძე დიდ დროს უთმობს ქირურგიის ახალი მიმართულებას ლაპაროსკოპულ ქირურგიას და

აქტიურად მონაწილეობს ლაპაროსკოპული ქირურგიის პირველ საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ:

- 1995 წელს თბილისის #2 სამკურნალო კომბინატში, რომელიც ორგანიზებული იყო პროფ. ა. ჭანიშვილის, ყაზანის უნივერსიტეტის ქირურგიული კათედრის გამგის ე. სიგალის და ენდოქირურგიული აპარატურის მწარმოებელი რუსული ფირმის „ენდომედიუმის“ მიერ.

- 1996 წ. თბილისის #1 სამკურნალო კომბინატში რომელიც ჩატარდა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს, ქართული ნავთობკომპანიის GIOC (გია ჭანტურია), ქ. ატლანტის Atlanta Baptist Medical Center-ის (პროფესორი ჯორჯ ლუკასი, ქირურგი პლატონ ესართია), ქ. მოდენის Sant'Augustino Hospital-ის (პროფესორი ჯან-ლუიჯი მელიტი) და რეჯიო ემილიას Sant'Sebastian Hospital-ის (პროფ. მარო მენინო) ორგანიზებით.

კონფერენციის მსვლელობაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა მცირე ინვზიური ქირურგიის განვითარების მრავალწლიანი პროექტი, ბაზად შეირჩა ქ. თბილისის თორაკო-აბდომინური კლინიკა, რომლის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ზურაბ ცხაკაია.

1997 წელს მ. კილაძე, აკად. ზ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით, ექიმების მცირე ჯგუფთან ერთად მიემგზავრება ჯერ აშშ-ში, სადაც Atlanta Baptist Medical Center-ში ლაპაროსკოპული ქირურგიის ბაზისურ, ხოლო შემდგომ იტალიაში San'Augustino Hospital-ში ლაპაროსკოპული ქირურგიის გაძლიერებულ კურსებს გადის.

1998 წელს მას შემდეგ, რაც თორაკო-აბდომინური კლინიკის ერთი საოპერაციო ალიქურვა თანამედროვე ენდოსკოპური ტექნიკით, აკად. ზ. ცხაკაიას და მ. კილაძის მიერ შესრულდა პირველი ლაპაროსკოპული ოპერაცია ქოლეცისტექტომია. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე შერჩეული პაციენტების აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა ოპერაციის ტრადიციულ - ღია მეთოდს, ვინაიდან იმ პერიოდში საქართველოში გარკვეული ობიექტიური თუ სუბიექტიური მიზეზთა გამო ლაპაროსკოპული ქირურგიის ე.წ. „უსისხლო ოპერაციების“ მიმართ ნეგატიური განწყობა იყო, როგორც ქირურგთა, ასევე საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში. სწორედ მერაბის, როგორც ახალგაზრდა უნიჭიერესი ქირურგის პოპულარობამ „დაძრა მატარებელი“ - პირველი სამი ოპერაცია შესრულდა მერაბის პაციენტებზე.

1998 წელს მერაბი დაჯილდოვდა გრიგოლ მუხაძის სამახსოვრო მედლით სამამულო ქირურგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოში მცირე ინვზიური ქირურგიის პოპულარიზაციის მიზნით ბატონმა მერაბმა 1999 წელს ქ. ქუთაისის რესპუბლიკური, საავადმყოფოს ბაზაზე ორგანიზება გაუკეთა პირველ რეგიონულ სამეცნიერო პრაქტიკულ სემინარს ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში. კონფერენციის მსვლელობისას ჩატარდა 6 საჩვენებელი ლაპაროსკოპული ქოლეცისტექტომია.

2000 წელს ბეირუთში შედგა ევროპის ხმელთაშუა ზღვის და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ლაპაროსკოპული ქირურგიის ასოციაციის პირველ კონგრესი, სადაც მ. კილაძე აირჩიეს ასოციაციის გამგეობის წევრად.

2001 წელს მერაბ კილაძე საქართველოს თორაკო-აბდომინური კათედრის დოცენტად იქნა არჩეუ-

ლი. 2002 წელს საქართველოში პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლაპაროსკოპიულ ქირურგიის მიმართულებით: „ნალველკენჭოვანი დაავადებების ქირურგიული მკურანლობის ოპტიმიზება ლაპაროსკოპიული და ტრადიციული მეთოდებით“ და შემდგომ თანმიმდევრულად ინიშნება საქართველოს სამედიცინო აკადემიის თორაკო-აბდომინური ქირურგიის კათედრის კონტრაქტორ პროფესორად (2002), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თორაკო-აბდომინური კათედრის ასოცირებულ პროფესორად (2008), თსსუ-ის I ქირურგიული დეპარტამენტის კერძო ქირურგიის NI მიმართულების პროფესორად (2013).

მერაბ კილაძის, ჯანლუიჯ მელიტის და პლატონ ესართიას უცვლელი კოორდინირებით აკად. ზ. ცხაკაიას სახ. თორაკო-აბდომინური კლინიკის ბაზაზე 1997-2005 წწ. ჩატარდა 7 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლაპაროსკოპულ ქირურგიაში, რომლის მსვლელობაში მონაწილეობდა 35 ქირურგი და 28 საშუალო მედპერსონალი მსოფლიოს შვიდი ქვეყნიდან.

სიმპოზიუმების მსვლელობაში შესრულდა 18 ტიპის 205 საჩვენებელი ოპერაცია და გაკეთდა 45 ვიდეო პრეზენტაცია.

2005 წელს პროფესორი მ. კილაძე ინიშნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტად ზოგად ქირურგიაში.

2007 წელს ქვეყანაში ლაპაროსკოპული ქირურგიის პოპულარიზაციის მიზნით პროფ. მ. კილაძის თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს მცირე ინვზიურ ქირურგთა ასოციაცია, რომლის უცვლელი პრეზიდენტი მერაბი იყო. 2008 წლის 2-4 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა ასოციაციის პირველი კონგრესი, რომელიც მერაბის ინიციატივით მიემდგვნა ლაპაროსკოპული ქირურგიის ფუძემდებლის ფილიპ მიურეს ხსოვნას. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა რამოდენიმე ასეული პრაქტიკოსი ექიმი საქართველოს ყველა კუთხიდან. გაკეთდა 103 მოხსენება და ვიდეოპრეზენტაცია, რაც აისახა შესაბამის შრომათა კრებულში. პრაქტიკულად, ეს გახლდათ საქართველოში პირველი საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული მედიკოსთა სამეცნიერო კონფერენცია და პროფესორ მერაბ კილაძის დიდი გამარჯვება.

2011-2012წწ მერაბი ქ. თბილისის შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ თორაკო-აბდომინური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

1991-2012წწ თორაკო-აბდომინურ კლინიკაში შესრულებული აქვს 10000-ზე მეტი ღია და ლაპაროსკოპული ოპერაცია, მათ შორის საქართველოში პირველად ლაპაროსკოპული: 2003 წელს ღვიძლის სეგმენტური რეზექცია; 2005 წელს კუჭის ფუნდოპლიკაცია ნისენის მეთოდით; 2007 წელს სპლენექტომია; 2007 წელს მარცხენამხრივი ადრენალექტომია; 2007 წელს მუცლის ღრუს და რეტროპერიტონული სივრცის ლიმფადენექტომიები; 2007 წელს საყლაპავის აქლავიის კორეგირება, სერომიოტომია; 2010 წელს მარჯვენამხრივი ადრენალექტომია.

მერაბ კილაძის ხელმძღვანელობით 2001-2012წწ თორაკო-აბდომინური კლინიკის ქირურგთა მონაწილეო-

ბით ლაპაროსკოპული ქირურგია დაინერგა ქ. თბილისის თერთმეტ და ქ. თელავის ერთ კლინიკაში.

2012 წელს ლაპაროსკოპული ქირურგიის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ პროფესორი მერაბ კილაძე ჯილდოვდება ღირსების ორდენით.

2013 წელს მერაბ კილაძის თაოსნობით და თანაავტორობით გამოიცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ლაპაროსკოპულ ქირურგიაში. წიგნი დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო სახელმძღვანელოდ.

2014 წლის 21-24 სექტემბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგია ასოციაციის მეორე და ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ენდოსკოპისტ ქირურგთა ასოციაციის მე-14 კონგრესი. კონგრესის მსვლელობაში ქართველი ქირურგების გარდა მონაწილეობდა 45 უცხოელი დელეგატი მსოფლიოს 8 ქვეყნიდან. კონგრესის დირექტორი გახლდათ პროფესორი მერაბ კილაძე.

2012 წელს მერაბ კილაძემ კლინიკა „კარაპს მედლაინის“ ზოგადი და მინი ინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტი დაარსა და მას ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. პროფესორი მერაბ კილაძე წელიწადში 25 სახეობის დაახლოებით 1500 ოპერაციას ასრულებდა, გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე მერაბს ეს სტატისტიკური მონაცემი მისმა მოწაფეებმა მიაწოდეს.

მერაბის გარდაცვალების შემდეგ „კარაპს მედლაინში“ ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტს მისი სახელი მიენიჭა,

სადაც პროფესორ მერაბ კილაძის საქმიანობას მის მიერ აღზრდილი ქირურგთა უძლიერესი გუნდი წარმატებით განაგრძობს.

ნიშანდობლივია, რომ გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე 9 ოქტომბერს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქ.ჭიათურის „საპატიო მოქალაქის“, ხოლო 21 ოქტომბერს ამიერკავკასიის ექიმთა ლიგამ „საუკუნის ექიმის“ წოდება მიანიჭეს.

პროფესორი მერაბ კილაძე გარდა პრაქტიკულ-პედაგოგიური მუშაობისა, მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, იგი გახლავთ ერთი მონოგრაფიის, 108 სამეცნიერო სტატიის ავტორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, რამდენიმე ათეული სამეცნიერო კონგრესის თუ კონფერენციის მონაწილე.

2017 წლის 2-3 ივნისს თბილისში ჩატარდა მ. კილაძის სახ. საქართველოს მცირე ინვაზიური ქირურგთა ასოციაციის რიგით მე-3 სამეცნიერო კონფერენცია „ლაპაროსკოპული ქირურგია საქართველოში - აწმყოდან მომავლისკენ“, რომელიც მიეძღვნა პროფესორ მერაბ მიხელის ძე კილაძის ნათელ ხსოვნას.

2019 წლის 29 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „მ. კილაძის საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის“ თანაორგანიზებით გაიმართა საქართველოს გამოჩენილი სამედიცინო მოღვაწის, ლაპაროსკოპული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ მერაბ კილაძის დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო საღამო. ღონისძიებაზე გაიმართა ბიოგრაფიული წიგნის „მერაბ კილაძე“ პრეზენტაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მ.კილაძის სახ. საქართველოს მცირე ინვაზიური
ქირურგთა ასოციაცია

ავტორის სამახსოვრო

ჟურნალ „გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეში“ სტატიის წარმოდგენის წესები:

1. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, ორ ეგზემპლარად, ქართულ (ინგლისურ ან რუსულ) ენაზე და მას უნდა ახლდეს სტატიის ელექტრონული ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD, DVD, ფლეშ მენსიერება).
2. წარმოდგენილი სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 7 გვერდზე ნაკლები და 20 გვერდზე მეტი ცხრილების, დიაგრამების, საილუსტრაციო მასალის, ლიტერატურის სიის და რეზიუმეების (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ჩათვლით.
3. ნაბეჭდი ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტული ფურცლის (A4) ერთ გვერდზე, 2,5 სმ სივანის მარცხენა, 2-2სმ ზედა და ქვედა და 1,5სმ მარჯვენა ველების დაცვით. სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,5.
4. სტატია აკრეფილი უნდა იყოს MS Word-ში Sylfaen უნიკოდ შრიფტით, როგორც ქართული ძირითადი ტექსტი, ისე ქართული და ინგლისური რეზიუმე. შრიფტის ზომა უნდა იყოს 11.
5. კვლევითი ხასიათის სტატია უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი მასალა და გამოყენებული მეთოდები, მიღებული შედეგები და მათი განსჯა.
 - შემთხვევის აღწერისას: საკითხის ზოგადი მიმოხილვა, საკუთრივ შემთხვევის აღწერა, განსჯა და დასკვნები.
6. ექსპერიმენტული კვლევების შედეგების წარმოდგენისას, აუცილებელია, მიეთითოს და აღიწეროს საექსპერიმენტო ცხოველების სახეობა და რაოდენობა, გაუჭიკვარების ტიპი.
7. ქართულენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. უცხოენოვანი სტატიის შემთხვევაში - მხოლოდ ინგლისურ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 130 და არაუმეტეს 250 სიტყვა. აუცილებელია, ინგლისურენოვან რეზიუმეს ახლდეს: სათაური, ავტორების გვარები, ინიციალები, წარმოდგენი დაწესებულების ან ავტორთა სამუშაო დაწესებულებების მითითებით (რამდენიმე ავტორის შემთხვევაში საჭიროა მინიშნება ციფრით). რეზიუმე უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს (რომლებიც გამოყოფილი იქნება ტექსტში): მიზანი, მასალა და მეთოდები, შედეგები და დასკვნები; საკვანძო სიტყვები.
8. სტატიის ილუსტრირების წესები:
 - ცხრილები წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული სახით (და არა რომელიმე გამოსახულების ფორმატით – მაგ., jpeg, tiff, pdf). ცხრილი აწყობილი უნდა იყოს MS Word-ის ან MS Excell-ის ფორმატში, შეიძლება ჩართული იყოს ტექსტში ან წარმოდგენილი იყოს ცალკე ფაილის სახით, ამ შემთხვევაში ფაილს უნდა ერქვას სახელი: ცხრილი №; ყველა ციფრული, შემავჯამებელი და პროცენტული მონაცემი უნდა შეესაბამებოდეს ტექსტში მოყვანილს.
 - დიაგრამები უნდა იყოს დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. დიაგრამები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც MS Word-ის ან MS Excell-ის ფორმატში, ისე jpeg, tiff, pdf ფორმატებში. დიაგრამების წარწერები შესრულებული უნდა იყოს სტატიის ენაზე.
 - ფოტოსურათები, სურათები, ნახაზები უნდა იყოს წარმოდგენილი კონტრასტული ფაილის სახით, jpeg, tiff, pdf ფორმატში, დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. ამოსხნის ხარისხი არანაკლებ 200dpi.
 - რენტგენოგრაფიების ფოტოასლები წარმოადგინეთ პოზიტიური გამოსახულებით jpeg, tiff, pdf ფორმატში, დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. გამოსახულების ხარისხი არანაკლებ 200dpi.
 - მიკროფოტოსურათების წარწერებში საჭიროა მიუთითოთ ოკულარის ან ობიექტივის საშუალებით გადიდების ხარისხი, ანათლების შედეგის ან იმპრეგნაციის მეთოდი და აღნიშნოთ სურათის ზედა და ქვედა ნაწილები.
9. ავტორების გვარები სტატიაში აღინიშნება ინიციალების დართვით, უცხოელ ავტორთა გვარები – უცხოური ტრანსკრიპციით, ინიციალების დართვით.
10. სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორის მიერ გამოყენებული სამამულო და უცხოური შრომების ბიბლიოგრაფიული სია (ბოლო 5-8 წლის სიღრმით).
 - ბიბლიოგრაფიული სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური წყობით;
 - მიეთითება ჯერ სამამულო, შემდეგ უცხოელი ავტორები (გვარი, ინიციალები, სტატიის სათაური, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის №, პირველი და ბოლო გვერდები). მაგალითი:
 ქართული ვარიანტი: *ჭილაძე ბ, ლომიძე ნ, ნიორაძე მ, სიდელნიკოვი ა, ტრეკოვი ი. ჩერენკოვის ეფექტის გამოყენება ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების ასამაღლებლად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. 2012;6(2):67-73.*
 ინგლისური ვარიანტი: *Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005;10(2):49-53.*
 - მონოგრაფიის შემთხვევაში მიუთითეთ გამოცემის წელი, ადგილი და გვერდების საერთო რაოდენობა.
 - ტექსტში მრგვალ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის შესაბამისი №, ლიტერატურის სიის მიხედვით.
11. რედაქცია იტოვებს უფლებას შეასწოროს სტატია. ტექსტზე მუშაობა და შეჯერება ხდება საავტორო ორიგინალის მიხედვით.
12. დაუშვებელია რედაქციაში ისეთი სტატიის წარდგენა, რომელიც გამოქვეყნებული იყო სხვა გამოცემებში.
13. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში სტატიები არ განიხილება.

„გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეში“ რედაქცია

AUTHOR'S COMMEMORATIVE

The rules of submitting an article to the journal "Guram Tatishvili Bulletin of Georgia Surgery":

1. An article shall be submitted in printed form, two copies, in the Georgian (English or Russian) language together with an e-version of an article on electronic media (CD, DVD, flash memory).
2. Printed version shall be on one page of a standard sheet of paper (A4), by maintaining 2,5 cm left field width, 2-2 cm upper and bottom fields and 1,5 cm right field width. Space between lines 1,5.
3. An article shall be typed in MS Word by Sylfaen Unicode font, both Georgian main text and Georgian and English reviews. Font size shall be 11.
4. Submitted material volume shall not be less than 7 pages and more than 20 pages including tables, diagrams, illustrating material, reference list and reviews (in the Georgian and English languages).
5. A research article shall include the following sections: urgency of the research, research objective, research material and applied methods, obtained results and their discussion.
6. When submitting results of experimental researches, it is mandatory to point out and describe types of experimental animals and quantity; methods of anaesthesia (in conditions of acute experiments).
7. An article in Georgian language shall be enclosed with review in the Georgian and English languages. In case of an article in foreign language – only in the English language. Volume of a review shall not be less than 130 and not more than 250 words. In the English review, it is mandatory to mention: title, authors' surnames with initials, representing institution or work institutions of authors (an author's connection with an institution in case of several authors or institutions shall be interpreted by figure). A review shall include the following sections (highlighted in text): objective, material and methods, results and conclusions; key words.
8. Rules of illustrating an article:
 - Tables shall be submitted in printed and e-form (and not in any of an image formats – e.g. jpg, tiff, pdf). A table shall be drawn up in MS Word or MS Excel formats, can be inserted in text or submitted as a separate file, in this case the file shall be named: table p...; all digital, summing and percentage data shall correspond with the ones mentioned in text.
 - Diagrams shall be titled, numbered and pointed out in corresponding place in text. Diagrams can be submitted both in MS Word or MS Excel formats, as well as in jpg, tiff, pdf formats. Diagram inscriptions shall be made in the Georgian language.
 - Photographs, pictures, drawings shall be submitted as contrast file, in jpg, tiff, pdf formats. Resolution degree not less than 200dpi.
 - Photocopies shall be submitted with positive image in jpg, tiff, pdf format, titled, numbered and pointed out in the corresponding place in text. Resolution degree not less than 200dpi.
 - In inscriptions of microphotographies, it is necessary to point out zooming degree by eyepiece or lens, dying or impregnation method of slices and note upper and lower parts of an image.
9. Authors' surnames in an article are mentioned by enclosing initials.
10. An article shall be enclosed with bibliographic list of used works (with depth of 5-8 years).
 - Bibliographic list shall be sorted by alphabetic order;
 - Authors (surname, initials, title of an article, journal name, year, journal p, the first and the last pages) are pointed out. **Example:** Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005;10(2):49-53.
 - In case of monography point out publishing year, place an total quantity of pages.
 - In text, in round brackets shall be pointed out an author's corresponding p, according the reference list.
11. The editorial team keep the right to correct an article. Working on text and summing is done in accordance with the copyright original.
12. It is not allowed to submit an article published in other publications.
13. In case of violating the mentioned rules, articles are not reviewed.

Editorial team of "Guram Tatishvili Bulletin of Georgia Surgery"